პროლეტარელებო ყველანი ერთიანდებითო!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 45 (20886) — ოთხშაბათი, 22 თებერვალი, 1989 წელი. — ფასი 3 კაპ.

დღის რიგიდან:

საკავშირო პრესის ფურცლებზე

● „მაგალითის ძალით, დარწმუნების ძალით“. „პრავდის“ მკითხველთა კითხვებს უპასუხებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის იდეოლოგიური განყოფილების გამგე ა. ს. კაპტო.

„კომუნისტის“ რეიდი

● ნულუკიძის რაიონის ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ცუდად ემზადებიან საგაზაფხულო სამუშაოებისათვის

მე-2 გვ.

შტრიხები პორტრეტისათვის

● ზურაბ ავალიშვილი

განვიხილავთ ქართული ენის შემდგომი განვითარების სახელმწიფო პროგრამის პროექტს

● შევქმნათ ქართული მწიგნობრობის მუზეუმი

მე-3 გვ.

ხალხური შემოქმედება

● არ მოგვეშალოს „ლილეო“!

ერეკლეს ბაღი

● საგანგებო ეთარება ბეიქმნა ნასტალგიის, ოთარიანის ნოხუმ-თბილისის საპერო რეისზე...

ფეხბურთი

● შავიზღვისპირეთი საფეხბურთო გუნდების ტრადიციული მოსამზადებელი ადგილია. თბილისის დინამოელები, როგორც ცნობილია, თებერვლის დამდეგიდან ლესელიძეში არიან...

მე-4 გვ.

გარდაქმნა — მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ფრთები

მ. ს. გორბაჩოვის შეხვედრა უკრაინის დედაქალაქში

კიევი. 20 თებერვალი. (საკდელ.). უკრაინაში მ. ს. გორბაჩოვის ყოფნის სამუშაო პროგრამა დაიწყო ბორისპოლის აეროპორტში მოსკოვიდან ჩამოსული თვითმფრინავის დაჯდომიდან რამდენიმე წუთში. აქ ერთ-ერთ მოედანზე დაათვალიერეს ახალი მანქანა, რომელიც განაგრძობს ო. კ. ანტონოვის საკდელ-საკონსტრუქტორო ბიუროში შექმნილი ცნობილი ფართო ფუზელაჟიანი ლაინერების სერიას.

მსოფლიოში ყველაზე დიდი სატრანსპორტო თვითმფრინავი ან-225 აოცებს მნიშვნელს თავისი ზომებით და სრულყოფილი ტექნიკური მახასიათებლებით. ექვსტურბორეაქტიულ ძრავას ატარებს ჰაერში თვითმფრინავი, რომლის ფრთების სიგრძე 87 მეტრს აღწევს. გაბედული კონსტრუქტორული გადაწყვეტის მეოხებით არსებითად შეიქმნა უნივერსალური სატრანსპორტო საშუალება: მძლავრი, ეკონომიური, საიმედო თვითმფრინავი, რომელსაც შეუძლია ზიდოს 250 ტონა ტვირთი და არ სჭირდება სპეციალური აეროდრომები. იგი შეუცვლელი იქნება ციმბირის, უკიდურესი ჩრდილოეთის, შორეული აღმოსავლეთის მშენებლობებზე.

საკდელ-საკონსტრუქტორო ბიუროს გენერალურმა კონსტრუქტორმა პ. ვ. ბალაგუეევმ, რომელმაც გააცნო მ. ს. გორბაჩოვს მანქანა, უყურადღება მიიპყრო იმას, რომ თვითმფრინავში გამოყენებული ელექტრონულ გამომთვლელი მანქანა, ხელსაწყოები, მასალები სამამულო წარმოებისაა. ან-225 თვითმფრინავის შექმნა არა მარტო ინჟინრული აზრის გაბედული ნაყოფია, არამედ ყველაზე მოწინავე ტექნოლოგიების დაუფლებაცაა.

საგულისხმოა, რომ სწორედ ასეთი ამოცანა დაისახა სამნახევარი წლის წინათ, როცა მ. ს. გორბაჩოვი 1985 წლის ივნისში დაწვრილებით ეცნობოდა აქვე ახლა უკვე ცნობილ „რუსლანს“. მაშინ საქმე ეხებოდა მომავლის სატრანსპორტო მანქანების გამოშვებას, მათი დაპროექტებისა და აგების დროს ავტომატიკის, ყველაზე პერსპექტიული საკონსტრუქციო მასალების ფართო გამოყენებას.

„რუსლანები“ უკვე შრომობენ ხუთწლედის სპაიერო ტრასებზე, ფრთოსანი გოლიათების შემქმნელები კი ცხოვრების საგზურს აძლევენ ახალ თვითმფრინავს, რომელიც ყველა ნიშნით აღემატება წინამორბედს. ასეთია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის — მატერიალური წარმოების სფეროს გარდაქმნის საფუძვლის უპირატესი ტემპის კურსის ლოგიკა.

მ. ს. გორბაჩოვი ათვალიერებს მანქანას, ესაუბრება მის შემქმნელებსა და მფრინავ-გამომცდელებს. მას უთხრეს, რომ ახალ მანქანას შემთხვევით როდი დაერქვა „მრია“. რუსულად ეს „ოცნებას“ ნიშნავს. ყველაზე გაბედული, თამამი ოცნებები ხომ ახდება ხოლმე, როცა ისინი ფრთებს ასხამს ხალხს, რაზმავს მას კონკრეტული საქმეებისათვის დასახული მიზნების მისაღწევად. ახალი მანქანის შექმნა ამის დამაჯერებელი დადასტურებაა.

შემდეგ გაიმართა ან-225 თვითმფრინავის სადემონსტრაციო ფრენა. გიგანტური მანქანა, რომელსაც მართავს მფრინავი-გამომცდელის ა. ვ. გალუნენკოს ეკიპაჟი, ხანმოკლე გარბენის შემდეგ მსუბუქად სწყდება მიწას, მანევრირებს, იღებს სიმაღლეს, რამდენიმე წრეს უვლის აეროდრომს და საკდელ-საკონსტრუქტორო ბიუროს აეროდრომისაკენ მიფრინავს. ასე განხორციელდა ერთ-ერთი ფრენა „მრიას“ საკდელი ფრენის სერიიდან.

მ. ს. გორბაჩოვი მადლობას უხდის საკდელ-საკონსტრუქტორო ბიუროს გენერალურ კონსტრუქტორს და ულოცავს მის კოლექტივს დიდ და დამსახურებულ მიღწევას, ოცნების ახდენას. ჩვენ გვაქვს საყოველთაო-სახალხო ოცნება, თქვა მან, — განვახორციელოთ გარდაქმნა. ამისათვის გულმოდგინედ უნდა ვიმუშაოთ და სიძნელეების არ გვეშინოდეს. თქვენი „მრია“ გარდაქმნის შემადგენელი ნაწილია.

აეროპორტიდან გზა გადის კიევის ახალ უბნებსა და ისტორიულ ცენტრში. საბჭოთა უკრაინის დედაქალაქი სასიკეთოდ შეიცვალა, დამშვენდა, და ეს კარგი ცვლილებებიც გარდაქმნის კონკრეტული შედეგებია, რომელსაც სათავეში უდგას ქალაქის კომუნისტთა თითქმის 240-ათასიანი რაზმი. ასიათასობით კიეველის მუდმივი ზრუნვითა და შრომით ახლდება ათობით საწარმო, რისი მეოხებით წარმოების მოცულობის მთელი 5,5-პროცენტიანი მატება შაშან მიღებულია შრომის ნაყოფიერების ზრდის გზით. მტკიცდება სახელშეკრულებო ვალდებულებათა დისციპლინა, მასშტაბურ გეგმებს საქმეები უმაგრებს ნიადაგს.

ასეთი მუშაობის შედეგებს გრძნობენ თვით შრომელი ადამიანები. მრავალი წლის განმავლობაში პირველად 4,4 ათასით შემცირდა იმათი რიგი, ვინც ელის საბინაო საკითხის გადაწყვეტას. საცალო საქონელბრუნვის მოცულობა შარშან გაიზარდა 7-8 პროცენტით, ფასიანი მომსახურების რეალიზაციის მოცულობა 12 პროცენტით.

ავტომობილები უხვევენ კიევის მთავარ ქუჩაზე — კრეშჩატიკზე. აქ გაიმართა უკრაინის დედაქალაქის მცხოვრებლებთან მ. ს. გორბაჩოვის პირველი შეხვედრა. იწყება საუბარი ადამიანების ცხოვრების ყველაზე საჭირბოროტო საკითხებზე — ეს არის სურსათით მომარაგება და ფასები, საცხოვრებელი სახლების მშენებლობის ტემპი და ფართო მოხმარების საქონლის ხარისხი, დემოკრატიისა და საჯაროობის პრობლემები. აზრთა გაზიარება გულახდილი ხასიათისაა. მ. ს. გორბაჩოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ვაჭრობასა და საყოფაცხოვრებო მომსახურებაში დატაცებების, ნაკლოვანებების წინააღმდეგ ბრძოლაში განსაკუთრებული როლი გაეკუთვნება მუშთა კონტროლის სისტემას, რომელიც იქმნება. თვით მშრომელებმა უნდა მოჰკიდონ ხელი ამ პასუხსაგებ უბნებს. ყოველგვარი ბოროტმოქმედება უნდა აღიკვეთოს.

საუბრის მონაწილეები აღნიშნავდნენ, რომ გარდაქმნა ვითარდება, ძლიერდება. კერძოდ, უფრო ფართოდ ინერგება მეურნეობრიობის ახალი ფორმები. მ. ს. გორბაჩოვმა ამასთან თქვა, რომ თვით მშრომელებმა უნდა არეგულირონ კოოპერაციული მოძრაობა, ახალი შრომითი კოლექტივების ცხოვრება. კოოპერატიები გვჭირდება, ბინასაც გაგვრეგმონტებენ, ტანსაცმელსაც შეგვიკერავენ და ბევრ სხვა რამესაც გააკეთებენ. უფრო გაბედულად უნდა შეიქმნას კოოპერატივები წარმოების სფეროშიც. მაგრამ თავიდან უნდა ავიცილოთ გაბედნიერები კოოპერატივების განვითარებაში, ნება არ დავრთოთ ზოგზოგებს, უბრალოდ, გამდიდრდნენ, ხალხის ჯიბეში აფათურონ ხელი.

მაგრამ, ხაზგასმით აღნიშნა მან, საქმე ახლა მარტო კოოპერატივებს როდი ეხება. უფრო ფართოდ, ყველგან უნდა დავნერგოთ სამეურნეო ანგარიში, განვავითაროთ წარმოება ყველა მიმართულებით, უფრო გაბედულად წამოვწიოთ წინ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი.

მ. ს. გორბაჩოვი და მისი თანმხლები პირები მიდიან ვ. ი. ლენინის ძეგლთან. მონუმენტის გრანიტის კვარცხლბეკზე ოქროს ასოებით ამოკვეთილია ლენინის სიტყვები: „ველიკოროსი და უკრაინელი პროლეტარების ერთიანი მოქმედებით თავისუფალი უკრაინა შესაძლებელია, ასეთი ერთიანობის გარეშე მასზე ლაპარაკიც კი ზედმეტია“. მ. ს. გორბაჩოვმა და ვ. ვ. შჩერბიცკიმ წითელი მიხაკები შეამკეს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელის ძეგლი.

სურათზე: შეხვედრა კიეველებთან კრეშჩატიკზე. — საკდეს-საკინფორმის ტელეფოტო.

პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ტრადიციები, მოძმე მოკავშირე რესპუბლიკების ერთიანობა, კიეველთა წვლილი ჩვენი ცხოვრების ყველა მხარის განახლებაში გახდა მ. ს. გორბაჩოვისა და შრომისა და დიდი სამამულო ომის ვეტერანთა ჯგუფთან, ახალგაზრდობის წარომომადგენლებთან მ. ს. გორბაჩოვის საუბრის თემა.

უკრაინის დედაქალაქის მშრომელებმა — ვეტერანებმაც და ახალგაზრდობამაც გააცნეს მ. ს. გორბაჩოვს გამოცდილება, რომელიც მათ მისცა გარდაქმნის პრაქტიკამ. მთავარი დასკვნა, რომელიც ადამიანებმა გამოიტანეს, ის არის, რომ ახლანდელი ძნელი გარდამტეხი პერიოდის სიძნელეების დაძლევა შეიძლება. მაშასადამე საჭიროა ძალების გაერთიანება, გაბედული წინსვლა, პერსპექტივის დანახვა.

საზოგადოება ამოძრავდა. მასების სოციალური აქტიურობა, ადამიანების მომთხოვნელობა განსაკუთრებით შესამჩნევია წინასაარჩევნო კამპანიის დროს.

მ. ს. გორბაჩოვი: მე ასე გეტყვით: არჩევნებისათვის როცა ვემზადებით, სოციალისტური დემოკრატიის მეტად მნიშვნელოვან სკოლას გავდივართ. ვერკვევით რა რისთვის არის საჭირო, ვაკვირდებით, როგორ სჯობს სოციალისტური სახალხო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს ჩამოყალიბება. რა თქმა უნდა, ჯერჯერობით ყველაფერი ვერ გავითვალისწინეთ. შევაჯამებთ კამპანიის შედეგებს, შევიტანთ საჭირო კორექტივებს, რათა ჩვენი საარჩევნო კანონები მთლიანად გამოხატავდნენ თითოეული ადამიანისა და მთლიანად საზოგადოების ნებას. ასე იქნება აუცილებლად.

ხმა: ადგილზეც უფრო სწრაფად უნდა გარდავიქმნათ...

საუბრის მონაწილეები მ. ს. გორბაჩოვს ესაუბრნენ იმის შესახებ, რომ საწარმოებში, სადაც ისინი შრომობენ, ხშირად არ არის სათანადო წესრიგი, ხელმძღვანელობის ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სტილი ნელა აღმოიფხვრება, პროფკავშირებს ხშირად არ ჰყოფნის გამბედაობა, სითი ლითონ-და ენერგოტევადობის შემცირება — აი რა არის დღეს გარდაქმნა ინდუსტრიაში, მისი წამყვანი დარგების მოდერნიზაცია. რა უშლის ხელს ახალ მანქანებად და ტექნოლოგიებად სამეცნიერო ნამუშევრების ოპერატიულ ხორცშესხმას? თუ დღეს ამაში გულდასმით არ გავერკვეთ, არ გამოვავლინეთ ყველაზე სუსტი რგოლები მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ჯაჭვში, მსოფლიო დონისაგან ჩამორჩენამ შეიძლება შეუქცევადი ხასიათი შეიძინოს. ამას ეხებოდა მ. ს. გორბაჩოვისა და მეცნიერთა საფუძვლიანი, გულახდილი სჯა-ბაასი.

ჩამოაყალიბა რა ინსტიტუტის საქმიანობის პროგრამა, მისმა დირექტორმა, უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ვ. ი. ტრეფილოვმა ილაპარაკა არა მარტო ლაბორატორიებში მიღებულ სამეცნიერო შედეგებზე, არამედ ხარალნეზეც, რომელიც საბჭოურ ინდუსტრიას მოუვიდა, მეცნიერთა მრავალი ნამუშევრით რომ არ შეიარაღდა. და ეს იმის მიუხედავად, რომ უკრაინის სამეცნიერო სკოლისათვის დამახასიათებელია ახალი მეცნიერული იდეების ტექნოლოგიური დასრულების მაღალი დონე.

სად არის ის უწყვეტრივი ლაბირინთები, რომლებშიც ჯერ კიდევ ვერ აღწევენ გარდაქმნის გამაჯანსაღებელი ნაკადები? რატომ არის, რომ კვლავინდებურად ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვის სამინისტროების გეგმებს თან სდევს ათობით „ახალი, დამზღვევი ინსტრუქცია? გამოითქვა მოსაზრება, რომ საწარმოთა გადასვლა სრულ სამეურნეო ანგარიშზე წარმოების მუშაკებს გარღვევალად აიძულებს შემობრუნდნენ მეცნიერებისაკენ. და მაშინ მეცნიერები კი არ დაიწყებენ ნამუშევრების დანერგვის ადგილის ძებნას, არამედ საწარმოები თვითონ გამოძებნიან შემხვედრ გზებს.

საუბარი შეეხო დარგთშორის სამეცნიერო-ტექნიკურ კომპლექსებს. მ. ს. გორბაჩოვმა გამოიკითხა, თუ რატომ რეაგირებს დღემდე ასე სუსტად მრეწველობა ამ კოლექტივების, მეცნიერებისა და ტექნიკის ამა თუ იმ დარგის წამყვან სპეციალისტთა წინადადებებზე. უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა ბ. ე. პატონმა გამოთქვა აზრი, რომ დარგთშორისი სამეცნიერო-ტექნიკური კომპლექსების ცხოვრებაში დამკვიდრება გაჭიანურდა, კერძოდ, უწყებრივი ბარიერების გამო. კომპლექსი „ფხვნილთა მეტალურგია“, მაგალითად, აერთიანებს სხვადასხვა სამინისტროს 300-ზე მეტ ქარხანას, დარგებისა და უწყებების ხელმძღვანელები კი მაინც ძველებურად ჰყოფენ ამ ქარხნების საზრუნავს ორ ნაწილად — თავიანთ და სხვის საზრუნავად. რაგნედ უცნაურიც უნდა იყოს ეს, „სხვის“ საქმეებად სამინისტროები მიიჩნიათ წამყვანი სამეცნიერო ცენტრის ნამუშევრები, რომელსაც მანქანათმშენებლობა მსოფლიო ნაგებ გაჰყავს.

მ. ს. გორბაჩოვი: რა უნდა ვიღონოთ, რომ საბჭოთა სამეცნიერო-საწარმოო ფირმებმა, ან კოლეგრნებმა ბოლოს და ბოლოს დაიწყონ სტაბილური მუშაობა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისათვის?

ბ. ე. პატონი: ჯერ ერთი, უნდა გაძლიერდეს ეს დარგთშორისი სამეცნიერო-ტექნიკური კომპლექსები, სანამ ისინი კვლავ არ გადაქცეულან უწყებრივ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებებად. მათ უნდა მიეცეთ შესაბამისი ბაზა საკუთარი საცდელი წარმოებების განვითარებისათვის, სახმომარაგების სისტემაში უნდა გავითვალისწინოთ საჭირო მოწყობილობითა და მასალებით ამ კომპლექსების უზრუნველყოფის პრიორიტეტები. საბითუმო ვაჭრობის სისტემასა, რომელზეც ორიენტირებული იყვნენ დარგთშორისი სამეცნიერო-ტექნიკური კომპლექსები, სამწუხაროდ, არ შეუძლია დააკმაყოფილოს მეცნიერთა და ტექნოლოგთა ელემენტარული მოთხოვნილებებიც კი:

მ. ს. გორბაჩოვი: დიახ, ბევრი რამ ვერ გამოგვიანა ამ მნიშვნელოვანი მიმართულებით, რომლისგანაც ველით რევოლუციურ ზეგავლენას ჩვენი მრეწველობის ტექნიკურ დონეზე. იქნებ, ეს საკითხი პოლიტბიუროზე განვიხილოთ?

შეეხნენ უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის საცდელ-საწარმოო ბაზას. გარკვეულწილად იგი უნიკალურია მთელი ქვეყნის მასშტაბით. ახლა აქ მოქმედებს 11 საცდელი ქარხანა, 30 ექსპერიმენტული წარმოება, 37 საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური ორგანიზაცია. მეშაობა გაშალა ორმა დარგთშორისმა სამეცნიერო-ტექნიკურმა კომპლექსმა, რომელთაგან ერთი — დარგთშორისი სამეცნიერო-ტექნიკური კომპლექსი „ფხვნილთა მეტალურგია“ — იშვა სწორედ ამ ინსტიტუტის კედლებში.

ასეთი მკვიდრი ინჟინრულ-კონსტრუქტორული ხიდი, უნდა ითქვას, არ აუშენებია არცერთ რესპუბლიკურ აკადემიას. მაგრამ მოაქვს თუ არა ამ ხიდს საგრძნობი უკუგება, დაიწყო თუ არა მასზე ორმხრივი მოძრაობა? უპასუხეს რა ამ კითხვას, მეცნიერებმა, კერძოდ, აღნიშნეს, რომ არასრული სამეურნეო ანგარიშის პირობებში, რომლის მარწუხებიდან სამეცნიერო ცენტრებს ჯერ-ჯერობით თავი ვერ დაუღწევიათ, იძულებული არიან ხელი მოჰკიდონ ყოველ თემას, ოღონდ „თავი შეინახონ“. არადა თვით წმინდა გამოყენებითი საქმიანობებისათვის მუშაობის პირობებში, ხაზგასმით აღინიშნა საუბრებში, არ უნდა დავკარგოთ პერსპექტივა. „მარადიული“ საავტომობილო ფილტრები, მაგალითად, ინსტიტუტში „შემუშავებული ბოჭკოვანი მეტალურგიის თეორიის პირველი რეალური ტექნოლოგიური პირმშო გახდა. მაგრამ ამ საუკეთესო სამეცნიერო „საქონელს“ დღემდე ვერ მიუღია თავისებური „ს“ ნიშანდესი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კოლექტივს არ უგრძნია ჯერ კიდევ რეალური სტიმულები არც პრაქტიკაში სიახლის ფართო დანერგვისათვის, არც ახალი მიმართულებით ფუნდამენტური გამოკვლევების გაღრმავებისათვის. დროა ავამაღლოთ სამეცნიერო პროდუქციის რანგი ნორმალური ფასწარმომქმნელი ფაქტორების კატეგორიამდე.

სამეცნიერო პროდუქციის ნიმუშებს მ. ს. გორბაჩოვი გაეცნო ინსტიტუტის ლაბორატორიებში. ბევრი ექსპონატი — მანქანების დეტალები, ინსტრუმენტები დამზადებულია არა ლითონისაგან, არამედ კერამიკისაგან, რომელიც ხარისხით არ ჩამოუვარდება უმაღლესი ხარისხის თუჯს, ფოლადს, შენადნობებს. დარგთშორისმა სამეცნიერო-ტექნიკურმა კომპლექსმა „ფხვნილთა მეტალურგიამ“ ცხოვრების საგზური მისცა არა მარტო ამ დეტალებს, არამედ მანქანების მთელ კვანძებსაც, მაგალითად, შიდა წვის ძრავის ბლოკს, აგრეთვე ორიგინალურ გასახურებელ მოწყობილობებს, უნიკალურ სამედიცინო ინსტრუმენტებს. სამწუხაროდ, უბედურება ის არის, რომ ბევრი ეს სიახლე, რომლებიც დამზადების სმარტივით იზიდავენ მნახველს, ჯერ კიდევ „საგამოფენო ცხოვრებით“ ცხოვრობენ.

გამოფენის ექსპონატებთან გაიმართა გაცხოველებული აზრთა გაზიარება იმაზე, რომ უკრაინის მეცნიერებამ შეიძლება ხელი შეუწყოს ატომური ელექტროსადგურების, სამთადანო ქიმიური წარმოებების მუშაობის უსაფრთხოების გადიდებას. მ. ს. გორბაჩოვმა დიდი შეფასება მისცა ინსტიტუტის მიღწევებს. ლითონტევადმა მოწყობილობამ, ხაზგასმით აღნიშნა მან, ადგილი უნდა დაუთმოს მეცნიერებატევადს, და სწორედ კიეველი მეცნიერები და სპეციალისტები დგანან ტექნიკური რევოლუციის მნიშვნელოვანი მიმართულების სათავეებთან.

კიდევ ერთ ექსპოზიციაში, რომელიც მ. ს. გორბაჩოვმა დაათვალიერა, თავმოყრილია უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერთა საუკეთესო ნამუშევრები, აგროსამრეწველო კომპლექსში სხვადასხვა ტექნოლოგიების სრულყოფის პრობლემებს რომ წყვეტენ. მექანიკოსებმა და გენეტიკოსებმა, კონსტრუქტორებმა, სელექციონერებმა, მცენარეთა დაცვის ბიოლოგიური მეთოდების სპეციალისტებმა აქ წარმოადგინეს თავიანთი შრომის შედეგები.

უკრაინაში, თქვა საუბრის დასასრულს მ. ს. გორბაჩოვმა, ნამდვილად კოლოსალური სამეცნიერო პოტენციალია. ძალიან მინდოდა აქ მოსვლა. დარწმუნებული ვარ: მარტო სამეურნეო მეთოდებით, სრულყოფილი მეთოდებითაც კი, შეგვიძლია მოვიგოთ ბრძოლის რომელიღაც პირველი ეტაპი შრომის ნაყოფიერებაშიც, მუშაობის ხარისხშიც. მაგრამ საჭირო შორს კიყურებოდეთ, ვეჭვრეტდეთ პერსპექტივას. დღეს ბევრი ადამიანია, რომლებიც გულწრფელად უეჭერენ მხარს გარდაქმნას, და გვჭირდება უკვე კონკრეტული შედეგები. ეკონომიკის ბევრი მნიშვნელოვანი მიმართულებით გვაქვს სერიოზული ჩამორჩენა. სწორედ ამიტომაც ჩვენმა ადამიანებმა უნდა იცოდნენ: როცა გარდაქმნას ვიჩქარებთ, ეკონომიკური რეფორმა უნდა განვამტკიცოთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უფლიერესი იმპულსებით. აქედან გამომდინარეობს პრიორიტეტული ყურადღება მეცნიერების პრობლემებისადმი.

ახლა ჩვენს წინაშე დიდი სიძნელენია იმიტომ, რომ გარდაქმნის გაჯანება, მასშტაბი უდიდესია. ყველაფერი ერთბაშად არ გამოვგდის. მაგრამ ყველა მიმართულებით — ელექტრონიკაშიც, მანქანათმშენებლობაშიც — მოძრაობა არის, განვითარების ტემპი მატულობს. ეკონომიკურ რეფორმასთან, მეურნეობრიობის სისტემის, საწარმოო ურთიერთობის გარდაქმნასთან შეხამებით მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი ის ბაზაა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ძლევამოსილი წინსვლა ეკონომიკაში.

ადამიანები უფრო აქტიურნი გახდნენ. დღეს კიევში, თქვა მიხეილ სერგის ძემ, ორი საუბარი მქონდა მშრომელებთან. ადამიანები გაბედულად, დაინტერესებით ლაპარაკობენ გადასაწყვეტ საკითხებზე, გამოხატავენ თავიანთ ნებას, გამოთქვამენ სურვილებს, სურთ, რომ საქმე უფრო სწრაფად შეიცვალოს. ეს კარგია, ეს ასეც უნდა იყოს. ნების, აზრის, ზემოდან პოლიტიკის, ქვემოდან ხალხის ინიციატივის სინთეზი სწორედ ის არის, რაც დღეს გვჭირდება.

მ. ს. გორბაჩოვმა ინსტიტუტის მეცნიერებსა და სპეციალისტებს უსურვა წარმატებანი დაუცხრომელ ძიებაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გზებზე.

საოღქო საარჩევნო კრებებზე

აქტიური პოზიცია

რუსთავის მეტალურგთა კულტურის სასახლეში სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ მოაშურეს არა მარტო ქალაქის, არამედ მეზობელი გარდაბნის, რაიონის საწარმოო დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა. მათ უნდა გადაეწყვიტათ რუსთავის № 182 ეროვნულ-ტერიტორიულ საარჩევნო ოლქში, რომელიც მოიცავს ამ ორ რეგიონს, დასახელებული სამი პრეტენდენტიდან რომელი გაგრძელებდა ბრძოლას დეპუტატობის კანდიდატის სახელისათვის. დარბაზში ხალხის ტევა არ იყო. განსაკუთრებით დიდია ინტერესი ახლანდელი საარჩევნო კამპანიისადმი, რომელიც სრულიად განსხვავებულია თავისი წინამორბედებისაგან, ნამდვილად ფართო დემოკრატიისა და საჯაროობის ვითარებაში მიმდინარეობს.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, საქართველოს კომპარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანმა ი. მაკავარიანმა დამსწრეთ გააცნო დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულთა ბიოგრაფია. თუმცა ყველამ კარგად იცოდა მათი ვინაობა: დეპუტატობის კანდიდატების შესახებ წერდა საქალაქო გაზეთი „სოციალისტური რუსთავი“. დაიბეჭდა ბიულეტენები, რათა მშრომელებს ზუსტად სცოდნოდათ ყოველივე თავიანთ მომავალ კანდიდატებზე.

დეპუტატობის კანდიდატებად ამ საარჩევნო ოლქში დასახელებული იყვნენ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს მეფოლადე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, სკკპ XXVII ყრილობისა და პარტიის XIX საკავშირო კონფერენციის დელეგატი თამაზ სანდერაშვილი, საწარმოო გაერთიანება „ქიმიური ბოჭკოს“ კორდის № 1 საგრეხი საამქროს მგრეხავი, სოციალისტურ შეჯიბრებაში მრავალჯერ გამარჯვებული მანანა მიდელაშვილი, საწარმოო გაერთიანება „აზოტის“ ელექტროლიზური მანგანუმის ორკანგის საკონტროლო საზომი ხელსაწყოებისა და ავტომატიკის წარჩინებული ელექტროზეინკალი დავით ხიდაშელი.

შეკრებილებმა ინტერესით მოისმინეს თავიანთი კანდიდატურების გამოსვლები, რომლებიც გულითადად ლაპარაკობდნენ მისწრაფებაზე — გაუმჯობესდეს საბჭოთა ადამიანების ცხოვრების დონე და კეთილდღეობა. ისინი შეჩერდნენ ჩვენი ეკონომიკის ამოქმედების გზებზე, მიუთითებდნენ, მათი აზრით როგორ უნდა გაფართოვდეს დემოკრატია, ამაღლდეს საბჭოების როლი, რომ აღნიშნულის საფუძველზე განვამტკიცოთ საბჭოთა სახელმწიფო.

თავიანთ წინასაარჩევნო პროგრამაში დეპუტატობის კანდიდატებმა გამოხატეს აგრეთვე დიდი მზრუნველობა ქალაქ რუსთავისა და გარდაბნის რაიონის სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო კომპლექსის განვითარებისათვის, ადამიანთა შრომისა და ყოფის პირობების გაუმჯობესებისათვის, ხაზგასმით შეეხნენ ეკოლოგიურ პრობლემებს, რომლებიც ქალაქსა და რაიონს ერთნაირად აწუხებს.

დისკუსიაში მონაწილეობდა მშრომელთა ბევრი წარმომადგენელი და იგი კარგა ხანს გაგრძელდა, პირუთვნელად მიუთითებდნენ დეპუტატობის კანდიდატთა ღირსებებსა და სუსტ მხარეებზე, ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ დეპუტატის ერთი მანდატის სამივე პრეტენდენტი ღირსეულია, ისინი იმყოფებიან გარდაქმნის ავანგარდში, უჭირავთ აქტიური პოზიცია, შესწევთ უნარი განამტკიცონ ქალაქისა და რაიონის ეკონომიკურ, კულტურულ და სოციალურ განვითარებაში უკანასკნელ ხანს მიღწეული წარმატებები. ისინი ერთგულად და ენერგიულად დაიცავენ მშრომელთა ინტერესებს ქვეყნის უმაღლეს პარლამენტში.

არჩევნები წარმომადგენელთა სურვილისამებრ და მათი გადაწყვეტილებით, ღია კენჭისყრით ჩატარდა. მან ცხადყო, რომ მშრომელთა წარომომადგენლებმა უპირატესობა მაინც გამოცდილებას და განსაკუთრებულ დამსახურებას მიანიჭეს. მხოლოდ თამაზ სანდერაშვილმა მოაგროვა ხმათა საჭირო რაოდენობა, რაც ამომრჩევლებმა გულწრფელად მიულოცეს ამ კეთილსინდისიერ მშრომელ კაცს.

დისკუსიაზე გამომსვლელებმა აღნიშნეს, რომ გარდაქმნის რთულ ვითარებაში, რომელიც ახლა მთელს ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობს, ხმას მივცემთ ხალხისადმი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მიმართვაში ჩამოყალიბებულ პოლიტიკურ ხაზს, ჩვენი სამშობლოს განმტკიცებას, დემოკრატიის განვითარებას.

რუსთავის № 182 ეროვნულ-ტერიტორიული საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციაში გაატარა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს მეფოლადე თამაზ სანდერაშვილი.

დავით ბიწაძე,
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი.

ხამს მოყვარე მოყვრისათვის...

ლენინაკანის თეატრი თბილისში

თეატრალურ თბილისს ყოველთვის ახარებს შეხვედრა ქვეყნის სხვადასხვა ქალაქისა და საზღვარგარეთის დასებთან. მაგრამ მაყურებლებს განსაკუთრებით ეიმებათ შეხვედრა ახლო მეზობლებთან — სომხეთის სცენის ოსტატებთან, რომლებთანაც სულიერი ნათესაობის საუკუნოვანი ტრადიციები გვაკავშირებს. მაგრამ სომეხი მსახიობების — ლენინაკანის ა. მრავიანის სახელობის დრამატული თეატრის კოლექტივის — ახლანდელ ჩამოსვლას ანლავს არა მარტო სიხარულის, არამედ ნაღველის გრძნობაც, რომელიც გამოიწვია დეკემბრის ტრაგედიამ. საგულისხმოა, რომ სწორედ თბილისში მართავს თეატრი თავის პირველ სპექტაკლებს ამასწინანდელი სტიქიური უბედურების შემდეგ, რომელიც თავს დაატყდა მოძმე სომხეთს და ათასობით ადამიანი შეიწირა, მათ შორის თვით დასის წარმომადგენლებიც.

...მიუხედავად ამისა, დღესასწაული შედგა, რამეთუ ჩვენი მეგობრების ჩინებულმა ხელოვნებამ თბილისელებს აჩუქა დიდ ოსტატობასთან მიახლოების სასიხარულო წუთები. სომეხმა სტუმრებმა წარმოადგინეს ერთ-ერთი თავიანთი საუკეთესო ნამუშევარი — იტალიელი დრამატურგის პაოლო ჯაკომეტის პიესა „დამნაშავის ოჯახი“ („კორადო“). ამ სპექტაკლით 20 თებერვალს დაიწყო მათი „მცირე“ გასტროლები თბილისის რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის სცენაზე.

სსრ კავშირის სახალხო არტისტის, სსრ კავშირისა და სომხეთის სსრ სახელმწიფო პრემიების ლაურეატის, მთავარი როლის შემსრულებლის ხორენ აბრამიანის საინტერესო რეჟისორულმა გადაწყვეტამ, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, სომხეთის დამსახურებული მხატვრის ე. საფონოვის წარმატებულმა სცენოგრაფიამ, მსახიობთა ანსამბლის დიდმა საშემსრულებლო ოსტატობამ უზრუნველყო სპექტაკლის დიდი წარმატება. თბილისელებმა ღირსეულად შეფასესს მეგობართა ხელოვნება, ხანგრძლივი ტაშით დაჯილდოვეს სომხეთის სცენის ოსტატები, ყვავილები მიართვეს მათ.

...სპექტაკლი დამთავრდა, მაგრამ დიდი იყო სურვილი განეგრძოთ საუბარი, ერთხელ კიდევ დაემტკიცებინათ ერთმანეთისათვის სიყვარული და ერთგულება, ეთქვათ, რომ მზად არიან დაეხმარონ ერთმანეთის ძნელ ჟამს, გაიზიარონ ერთმანეთის სიხარული და მწუხარება... ავთანტენზე ადიან ქართველი და სომეხი მსახიობები, საქართველოს ცულტურის სამინისტროს, რესპუბლიკის თეატრის მოღვაწეთა კავშირის წარმომადგენლები.

სსრ კავშირის სახალხო არტისტის გ. ლორთქიფანიძის ამა

მაგალითის ძალით, დარწმუნების ძალით

„პრავდის“ მკითხველთა კითხვებს უპასუხებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის იდეოლოგიური განყოფილების გამგე ა. ს. კაპტო

პარტიის ლენინური კონცეფციის აღდგენის, მისი, როგორც საზოგადოების პოლიტიკური ავანგარდის, როლის გაძლიერების ნიშნით მიმდინარეობს მთელი პარტიული ცხოვრების გარდაქმნა. იზრდება არჩევითი ორგანოების მნიშვნელობა, უმჯობესდება პარტიული აპარატის სტრუქტურა, განხორციელდა მისი რეორგანიზაცია — რაკომლებით დაწყებული და სკკპ ცენტრალური კომიტეტით დამთავრებული.

ცენტრალურ კომიტეტში შეიქმნა იდეოლოგიური განყოფილება. მას შემდეგ, რაც პრესაში გამოქვეყნდა ცნობები, რომ ახლახან გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის იდეოლოგიური კომისიის პირველი სხდომა, რომელზეც მოისმინეს აგრეთვე ინფორმაცია ცენტრალური კომიტეტის აპარატის ამ ქვეგანაყოფის ფუნქციებისა და სტრუქტურის შესახებ, „პრავდის“ მკითხველები გვთხოვენ უფრო დაწვრილებით გავაცნოთ იდეოლოგიური განყოფილების საქმიანობა. რედაქციამ მის გამგეს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრს, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორს ა. ს. კაპტოს სთხოვა ეპასუხა კითხვებზე: როგორია განყოფილების წინაშე მდგომი ძირითადი მიმართულებანი და უპირველესი ამოცანები? როგორ მიმდინარეობს პარტიულ კომიტეტებში იდეოლოგიური მუშაობის გარდაქმნა?

— XIX საკავშირო პარტკონფერენციის გადაწყვეტილებათა შესაბამისად შეიქმნა ცენტრალური კომიტეტის კომისიები, მათ შორის — იდეოლოგიური კომისია. მისი უშუალო ხელმძღვანელობით მოქმედებს განყოფილება. მისი მნიშვნელობა ზუსტად არის განსაზღვრული მ. ს. გორბაჩოვის 1988 წლის 24 აგვისტოს ბარათში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსადმი „პარტიული აპარატის რეორგანიზაციის საკითხის გამო“.

იდეოლოგიური განყოფილება წარმოადგენს სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპარატის პრინციპულად ახალ ქვეგანაყოფს როგორც სტრუქტურით, ისე საქმიანობის შინაარსით. მისი შექმნის დროს უარი ვთქვით უწინდელ პრინციპებზე, როგორიც არის ტერიტორიულ-უწყებრივი მიდგომა, შინაგანი ქვეგანაყოფების დაქუცმაცებულობა, იმ ამოცანების გადაწყვეტისათვის გამიზნულობა, რომლებიც არ ახასიათებს პარტიას. გამსხვილდა განყოფილების სტრუქტურული ელემენტები, რომელთა საფუძველი შეადგინა ექვსმა ქვეგანაყოფმა, რომელთაგან თითოეულს აქვს მკაფიოდ მოხაზული ფუნქციური მნიშვნელობა.

მოკლედ მათი საქმიანობის ძირითადი მიმართულებების შესახებ.

ფუნდამენტური მეცნიერული კვლევის ქვეგანყოფილებაში შედის მეცნიერების, ფილოსოფიის, ეკონომიკის, ისტორიის მეცნიერებებისა და პარტიული სამეცნიერო სასწავლებლებისა და სასწავლებლების განვითარების კომპლექსური პრობლემების სექტორები. თანამშრომელთა მთელი ძალისხმევა მოხმარდება გარდაქმნის პირობებში პარტიის იდეოლოგიური საქმიანობის თეორიული პრობლემათა ანალიზისა და დამუშავების ორგანიზაციის საკითხებს. ჩვენ სავსებით გვაქვს შეგნებული ამჟამად რევოლუციური თეორიის მნიშვნელობის შესახებ ლენინის აზრის სიღრმე. სწორედ ამ შემობრუნების ისტორიულ ეტაპზე პარტია ვერ უზრუნველყოფდა პოლიტიკური ავანგარდის, იდეების გენერატორის როლს, ვერ დაუფლებოდა საზოგადოებრივ ინიციატივას, მეფობივად რომ არ მუშაობდეს თეორიის საკითხებზე.

პარტიული პროპაგანდის ქვეგანყოფილება შეიცავს იდეოლოგიური მუშაობის თეორიისა და პრაქტიკის, პარტიული სწავლების სექტორებს, აგრეთვე პასუხისმგებელი ორგანიზატორებისა და ლექტორების ჯგუფებს. თვით ქვეგანყოფილების სახელწოდება და სტრუქტურა მოწმობს, რომ მისი მთავარი დანიშნულებაა აქტიური იდეოლოგიური საქმიანობა, რომელიც პრაქტიკულად ასხამს ხორცს თეორიისა და პოლიტიკის მიღწევებს იმისათვის, რომ კარდაქმნის იდეები ეფექტიანად ფესვებგადაგებული მასებს. ეს ქვეგანყოფილება გახდება რგოლი, რომელიც მთელი განყოფილების მჭიდრო კავშირს ამყარებს ადგილობრივ პარტიულ კომიტეტებთან.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ქვეგანყოფილება არ იმეორებს უწინდელი ამავე სახელწოდების ქვეგანყოფილების სტრუქტურასა და ფუნქციებს. აქ არის პერიოდული პრესის, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის, წიგნის კამოცემის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ეფექტიანობის სექტორები. მისი მთავარი ამოცანაა განახორციელოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მითითებანი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისადმი ხელმძღვანელობის, მათი მუშაობის ეფექტიანობის ზრდის შესახებ.

საგარეო-პოლიტიკური ინფორმაციისა და საერთაშორისო კავშირურთიერთობის ქვეგანყოფილებას აქვს ანალიზისა და გრძელვადიანი პროგრამების, ოპერატიული ინფორმაციის, ჰუმანიტარული პრობლემების, საერთაშორისო კავშირურთიერთობის სექტორები. იგი წინათაც არსებობდა. მაგრამ საგარეო-პოლიტიკური სფეროს გარდაქმნის მოთხოვნები, ზოგადსაკაცობრიო ინტერესებისა და ღირებულებების პრიორიტეტის წამოყენება მკვეთრად გარდაქმნის საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენს საინფორმაციო-იდეოლოგიურ საქმიანობას, ამ მუშაობის ცენტრში აყენებს ახალი პოლიტიკური აზროვნების ყველა წანაგზ.

ახლად შექმნილი **ახალგაზრდობის საკითხებისა და აღზრდის პრობლემათა ქვეგანყოფილების** შემადგენლობაშია ახალგაზრდობის ზოგადი საშუალო განათლების, პროფესიული განათლების, მარქსისტულ-ლენინური განათლებისა და აღზრდის კომპლექსური პრობლემების სექტორები. ასეთმა სტრუქტურამ, ჩვენი აზრით, საშუალება მოგვცა ხელი აგვეღო ქვეყნის სასწავლებლების სისტემის საუწყებო კურირებაზე, მაგრამ ამავე დროს საშუალებას გვაძლევს მეფეი ყურადღება დავუთმოთ სახალხო განათლებისა და ახალგაზრდობის აღზრდის გარდაქმნის პოლიტიკის განხორციელების ამოცანებს, რომლებიც დასახეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1988 წლის პლენუმმა, XIX საკავშირო პარტკონფერენციამ.

კულტურისა და ხელოვნების ქვეგანყოფილება შედგება კულტურის, მხატვრული ლიტერატურის, ხელოვნების განვითარების, კულტურულ-მასობრივი მუშაობისა და საზოგადოებასთან კავშირის კომპლექსური პრობლემების სექტორებისაგან. ეს რგოლი დაგვეხმარება შევიმუშაოთ და განვახორციელოთ პარტიის ეროვნული პოლიტიკა, ხელი შევუწყოთ გარდაქმნის იდეების ირგვლივ, სოციალისტური იდეალების ბაზაზე შემოქმედი ინტელიგენციის კონსოლიდაციას. ახლა საქმე ეხება პარტიული კომიტეტების და ინტელიგენციის **თანაშემოქმედებას,** კონსტრუქციულ საუბრებზე შეხედულებების, იდეებისა და პოზიციების კრისტალიზაციას.

განყოფილებაში იქმნება კონსულტანტთა ჯგუფი, რომლის მიზანია მომამზადოს ანალიტიკური მასალები, შეისწავლოს გარდაქმნის იდეოლოგიური პროცესის, თეორიისა და პრაქტიკის საკვანძო პრობლემები.

ვფიქრობ, რომ ქვეგანყოფილებისა და სექტორების მარტოოდენ ჩამოთვლაც კი გვიჩვენებს, რამდენად ფართოა ჩვენი საბრძოლველი წრე. უწინარეს ყოვლისა უნდა უზრუნველვყოთ სოციალური ცხოვრების დინამიკის გაღრმავებული შესწავლა, საზოგადოებრივი შეგნების მეცნიერული ანალიზი, დაეუფლოთ კომპლექსურ მიდგომას იდეოლოგიური პროცესისადმი, განვაზოგადოთ და გავავრცელოთ დადებითი გამოცდილება.

იდეოლოგიური მუშაობის გარდაქმნის არსი განსაზღვრულია სკკპ XXVII ყრილობისა და XIX საკავშირო პარტკონფერენციის გადაწყვეტილებებში, პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1988 წლის თებერვლის პლენუმზე, შემოქმედებითი კავშირების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, სხვა იდეოლოგიური დაწესებულებების წარმომადგენლებთან შეხვედრებზე მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლებში. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მიმდინარე წლის 6 იანვარს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გამართულ შეხვედრას, ამ შეხვედრაზე მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლას. ჩვენი პირდაპირი მოვალეობაა მოვახდინოთ წამოყენებულ მოთხოვნათა რეალიზაცია საზოგადოების ცხოვრების თანამედროვე ეტაპის თავისებურებათა გათვალისწინებით. ახლა პარტიის მიერ წამოყენებულ გარდაქმნის ამოცანათა პრაქტიკული განხორციელების, მილიონთა ყოველდღიურ საქმიანობაში მისი იდეების ხორცშესხმის დროა. ამას გვიკარნახებს პარტიის ყველა რგოლის — პირველადი ორგანიზაციებით დაწყებული და სკკპ ცენტრალური კომიტეტით დამთავრებული — იდეოლოგიური მუშაკებისადმი მოთხოვნებიც.

— **ახალ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ატმოსფეროში კომუნისტებიც, უპარტიოებიც გაცილებით უფრო აქტიურად ავლენენ თავიანთ მოქალაქეობრივ პოზიციას, აშკარად გამოთქვამენ და იცავენ თავიანთ შეხედულებებს. საერთოდ, უმრავლესობა მზარს უჭერს გარდაქმნის კურსს, ცდილობს შეიტანოს წვლილი მის განხორციელებაში. მაგრამ არის წინააღმდეგობანიც ამა თუ იმ პრობლემის გადაჭრისადმი მიდგომაში, აზრთა პოლარიზაცია, რომელიც სცილდება ჩვეულ, ასე ვთქვათ, ფარგლებს. რა შეიძლება ითქვას, პატივცემულო ალექსანდრე, ამის გამო?**

— მართლაც, ბევრი რამ უჩვეულოდ გამოიყურება, ვლინდება მწვავე ფორმებით. ქვეყანაში გაჩაღდა საზოგადოებრივი შეგნების ნამდვილი რევოლუცია. მიმდინარეობს ადამიანთა გონებაში განახლების იდეოლოგიის დამკვიდრების აქტიური პროცესი.

ამავე დროს ახალი ტენდენციები საზოგადოებრივ აზრში რთულად და წინააღმდეგობრივად ვითარდება. კვლავ არის დიდი გარღვევა თეორიულ და ჩვეულებრივ შეგნებას შორის. ალბათ, ახლა ხალხს უფრო მეტი კითხვები აქვს, ვიდრე პასუხი. მტკიცე მეცნიერული ცოდნის ნაკლებობის გამო გავრცელებულია ცალმხრივი, არცთუ იშვიათად მცდარი წარმოდგენები. რეალურობას წარმოადგენს კონსერვატიზმისა და ავანგარდიზმის განწყობილებანი, დემაგოგიის, ნაციონალისტური გამოვლინებების, წვრილბურჟუაზიული შეხედულებების, პოლიტიკური ეექსტრემიზმის გაქტიურება.

დაგეჭირდება მუყაითი, მტკიცე მუშაობა, რათა საზოგადოებრივი შეგნება წარვმართოთ კონკრეტულ პრაქტიკულ ამოცანათა გადაწყვეტისათვის.

რა თქმა უნდა, გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ გარდატეხას შეიძლება მივაღწიოთ მხოლოდ და მხოლოდ იდეოლოგთა ძალისხმევით. ადამიანთა შეგნებას გარკვეულწილად აყალიბებს საზოგადოებრივი ურთიერთობა, ცხოვრების რეალური პირობები, პარტიის, ყველა პოლიტიკური ინსტიტუტის პრაქტიკული საქმიანობა. შეგნებისა და სოციალური პრაქტიკის თანამოქმედების დიალექტიკა მარტივი არ არის, და იმისათვის, რომ გარდაქმნის ხომალდი დეფორმაციების რიფებზე არ დაჯდეს, საზოგადოებრივი შეგნება სოციალისტური კალაპოტით ვითარდებოდეს, საარსებოდ საჭიროა ინტენსიური, შემოქმედებითი, ინტელექტუალური იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა, რომელიც თავისუფალია წარსული წესების დოგმებისა და სტერეოტიპებისაგან, შაბლონისა და ფორმალიზმისაგან.

აი რატომ არის, რომ ჩვენი იდეოლოგიის განახლებას სკკპ ცენტრალური კომიტეტი აყენებს ეკონომიკის, პოლიტიკური სისტემის რადიკალურ რეფორმასთან, საზოგადოებისა და პარტიის მთელი ცხოვრების დემოკრატიზაციის პროცესთან ერთ რიგში. აქედან გამომდინარეობს იდეოლოგიური კადრებისა და აქტივის წინაშე მდგომი ამოცანების მასშტაბიც და გარდაქმნის ბედისათვის მათი პასუხისმგებლობის დონეც.

გულახდილად უნდა ვაღიაროთ: დღეს იდეოლოგიური მუშაკები ყოველთვის ახალ მოთხოვნათა სიმაღლეზე როდი არიან. არ შეიძლება არ გვაშფოთებდეს, რომ რთულ, როგორც იტყვიან, ექსტრემალურ სიტუაციებში მათ ხშირად უჭირავთ თავდაცვითი პოზიციები, ელიან ბრძანებებსა და მითითებებს ზემოდან, მზად არიან აწარმოონ პირდაპირი, გულახდილი დიალოგი ადამიანებთან, არ შეუძლიათ დაარწმუნონ ისინი, გაუწიონ აგიტაცია, გაიყოლიონ.

ეს განსაკუთრებით საჭიროა, როცა საქმე ეხება ინტერნაციონალური აღზრდის რთულ და ფაქიზ საკითხებს, როცა ეროვნული ურთიერთობის პრობლემები წინა პლანზე დადგა. ისინი მითითებენ პარტიული კომიტეტებისაგან ოპერატიულ რეაქციას, ვითარების დროულად და სწორად შეფასებას უნარს. მოვლენებს კუდში კი არ უნდა მისჰყოლოდნენ, არამედ გამოიმუშავებდნენ დროულ ეფექტიან ღონისძიებებს, რათა ემოციები არ სჯაბნიდეს გონებას. და ჩვენ უფლება გვაქვს ვიკითხოთ: მწვავე სიტუაციებში მრავალი კომუნისტი რატომ არ დაადგა პრინციპულ პოზიციებს? რატომ არ ისმის პარტიელთა სიტყვა, როცა საკადრისი პასუხი უნდა გაეცეს ეროვნული ეგოიზმის ან შოვინიზმის გამოვლინებებს?

დღეს, შესაძლოა, ყველაზე მთავარია მიეაღწიოთ იმას, რომ ყველა კომუნისტი გახდეს ნამდვილი პოლიტიკური მებრძოლი.

ზოგიერთ უბანზე რატომ არის ჩამორჩენა? ვფიქრობთ, უწინარეს ყოვლისა, იმიტომ, რომ წინა წლებში შექმნილი ყოველდღიური იდეოლოგიური მუშაობის ორგანიზაციას, სტილს და შინაარსსაც ატყვია ხელმძღვანელობის მბრძანებლურ-ზემოქმედებითი მეთოდების, დოგმატიზმის მოსაწყენი ერთფეროვნების კვალი. თავი იჩინა ძველმა საპარატო სენმაც — მასების სოციალურ-პოლიტიკური გამოცდილების, იდეური სიმწიფის დონის ჯეროვანმა შეუფასებლობამ.

— **ამას მიაპყრობენ ყურადღებას წერილების ავტორებიც, რომლებიც აანალიზებენ სიტუაციებს ადგილებზე. იუწყებიან, მაგალითად, რომ გარდაქმნით გამოღვიძებული ადამიანთა აქტიურობა არ ეამა ზოგიერთ ადგილობრივ ხელმძღვანელს. ასე იყო, კერძოდ, კუიბიშევში, სახალინზე, იაროსლავლის ოლქში...**

— დიახ, სიტყვასა და საქმეს შორის განსხვავებაც ძველი სენია, რომელიც ძნელად იკურნება. იგი ხელს გვიშლის დავეუფლოთ სიტუაციას, უზრუნველვყოთ ნამდვილი პარტიული გავლენა მოვლენათა მიმდინარეობაზე. იდეოლოგი, წერდა ვ. ი. ლენინი, „მხოლოდ მაშინ არის იდეოლოგის სახელწოდების ღირსი, როდესაც **წინ** უძღვება სტიქიურ მოძრაობას და გზას უჩვენებს მას, როდესაც ის ყველაზე ადრე ყვავეტს თეორიულ, პოლიტიკურ, ტაქტიკურ და ორგანიზაციულ საკითხებს...“ (ტ. 5, გვ. 391). ეს უნდა ვისწავლოთ. ძველი მიდგომები, მოქმედების მეთოდები, რომლებსაც საფუძვლად უდევს მხოლოდ ტრადიციები და ჩვეულებანი, ინტუიცია და აქტივის ემპირიული ცოდნა, დღეს ვერ ამართლებს. ყველგან და ყველფერში საჭიროა ნამდვილად მეცნიერული ანალიზი, უაღრესად ზუსტად დასაბუთებული დასკვნები, აუარდინარული და გაბედული გადაწყვეტანი.

როგორც გვიჩვენა ამ დღეებში პარტიული კომიტეტების იდეოლოგიური განყოფილებების გამგეებთან და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, იდეოლოგიური დაწესებულებებისა და უწყებების ხელმძღვანელებთან სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გამართულმა თათბირმა, ცვლილებანი უკეთესობისაკენ გვაქვს, თუმცა არც ისე საგრძნობი, როგორც ამას ცხოვრება მოითხოვს. პარტიული კომიტეტები თავიდან იშორებენ ადმინისტრაციულ-მბრძანებლურ მეთოდებს, სწავლობენ ნამდვილად გაპყვნენ ლენინურ პრინციპებს — დაარწმუნონ ადამიანები „არა ძალაუფლების მეოხებით, არამედ ავტორიტეტის ძალის, ენერგიის, უფრო მეტი გამოცდილების, უფრო მეტი მრავალმხრივობის, უფრო მეტი ნიჭიერების ძალით“ (ტ. 6, გვ. 294). წარმატებას აღწევენ იქ, სადაც გაბედულად უარს ამბობენ ზორბობა გეგმებსა და ზოგად გადაწყვეტილებებზე, ქაღალდმეზველობასა და ლოზუნგურ პროპაგანდაზე. სადაც მიზნად აქვთ დასახული არა ღონისძიებათა „ფორმები“, რაოდენობა, არამედ კონკრეტული ამოცანების, რეალური პრობლემების გადაწყვეტა, ყურადღებას აპყრობენ „ვიწრო ადგილებს“, „მტკივნეულ“ წერტილებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ადამიანის განწყობილებაზე.

იდეოლოგიური მუშაობისადმი **კონკრეტული მიმართულებების მიხედვით?**

— რა მიმართულებასაც უნდა ვიხილავდეთ, უნდა გვახსოვდეს: ყველა ჩვენი მეცადინეობის ცენტრშია ადამიანი. ადამიანისათვის ხდება გარდაქმნა. სწორედ ამ პოზიციებიდან ვუდგებით და სრულყოფილ აღმზრდელობითი მუშაობის იდეურ-პოლიტიკურ, შრომითს, ზნეობრივ, სამართლებრივ, პატრიოტულ, ათეისტურ, ეკონომიკურ და სხვა მიმართულებებს.

განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ის, რომ ადამიანთა შეგნებაში დავამკვიდროთ სოციალისტური ღირებულებანი და იდეალები, ჩამოვუყალიბოთ იდეური მრწამსი. დღეს, როცა ცხოვრებამ გაიკამტვერა მითები „სრული ერთსულოვნების“, „მონოლითური შეკავშირების“ შესახებ და სხვა პროპაგანდისტული შტამპები, გამოვლინდა არა მარტო აზრთა სხვადასხვაობა, არამედ ჯგუფური ეგოიზმიც, პოლიტიკური და კაცობრივ თქვას, ზოგადი კულტურის ნაკლებობაც. არის იმის ცდებიც, რომ ჩრდილი მიაყენონ, ის კი არა „გადასინჯონ“ კიდეც ფუძემდებელი იდეური პრინციპები, ამასთან ზოგჯერ ამას შვრებიან ისინი, რომლებსაც ჩვეულებისაგან მიეკუთვნებენ ჩვენს აქტივს. მაშასადამე, ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, მარქსიზმის საფუძვლები ხელახლა უნდა განვმარტოს მასებს, მარქსიზმის თეორიის დაცვის საკითხი ისევ რიგში დგება. (ტ. 17, გვ. 24).

სოციალიზმის დღევანდელი ხედვა ჩამოყალიბებულია XIX პარტკონფერენციის დოკუმენტებში. იგი ეყრდნობა მარქსისტულ-ლენინური თეორიის ფუნდამენტურ იდეებს, ჩვენი საკუთარი პრაქტიკის, მათ შორის რევოლუციური გარდაქმნის, სოციალისტური ქვეყნების გამოცდილების — მისი როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური მხარეების განზოგადებას. სოციალიზმის თანამედროვე კონცეფციის ბაზაა მსოფლიო ცივილიზაციის, მთელი კაცობრიობის ღირებულებათა სიმდიდრეც. ეს გულისხმობს თეორიული კვლევის გაღრმავებას და, რა თქმა უნდა, ახალი ცოდნის ფართო პროპაგანდას, მის, შეიძლება ითქვას, პრაქტიკაში მოქცევას.

უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენს საზოგადოებრივ მეცნიერებებს ჯერჯერობით უჭირთ უძრაობის პერიოდის მემკვიდრეობის დაძლევა. ისინი ზზრად არათუ ვერ უსწრებენ სოციალურ პრაქტიკას, არამედ იმასაც კი ვერ ასწრებენ, რომ გაიაზრონ საზოგადოებრივი ცხოვრების ახალი რეალობანი. ზოგიერთი მეცნიერი უწინდებურად მეთვალყურის პოზიციას ადგას. სხვები, პირიქით, ჩქარობენ განზოგადონ მოვლენები, არაკომპეტენტურად, სუბიექტურად, უაქესაციოდ მსჯელობენ. უნდა გავიაზროთ კვლევის დაგეგმვისა და კოორდინაციის, სოციალური პრაქტიკის მოთხოვნებთან მისი კავშირის გაუმჯობესების ღონისძიებანი. უეჭველია ისიც, რომ აქტუალური ხდება ახალი შემოქმედებითი ძალების მოზდვევების პრობლემა.

ბევრია, როგორც იტყვიან, დადასაწყვეტი საკითხი პარტიული კომიტეტების პრაქტიკულ მუშაობაშიც. მაგალითად, როგორ უნდა უზრუნველვყოთ პოლიტიკურ, იდეოლოგიურ მეთოდებზე გადასვლა? როგორც ცნობილია, მიღებულია გადაწყვეტილებანი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, სამეურნეო ორგანოების ფუნქციების გამიჯვნის შესახებ. მაგრამ დღემდე პარტიული კომიტეტები ხშირად იძულებული არიან, ასე ვთქვათ, უშუალოდ განაგებდნენ წარმოების, მომარაგების საქმეებს და სხვა. იდეოლოგიისა და ეკონომიკის დაკავშირება ადამიანს შეუძლია. და ამოცანაც, მაშასადამე, ის არის, რომ სოციალურ-ეკონომიკურმა ცვლილებებმა ჩამოაყალიბონ მშრომელი ადამიანის აქტიური პიროვნება, იდეურ-აღმზრდელობითმა მუშაობამ კი განუმტკიცოს მას ბატონ-პატრონის, ქმედითი მონაწილისა და ეკონომიკური და სოციალური პროგრესისათვის მებრძოლის გრძნობა.

დღეს, როცა ჩვენს ცხოვრებაში მკვიდრდება ახალი ეკონომიკური ფორმები, ინერგება იჯარა, სამეურნეო ანგარიში, კოოპერაცია, მრავალფეროვანი ინდივიდუალური შრომითი საქმიანობა, საჭიროა, ერთი მხრივ დაეძლიოთ აკვიატებული დამოკიდებულება მათ მიმართ, აზროვნებისა და მოქმედების კონსერვატიზმი. მეორე მხრივ, ყოველდღიურად უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ ამ ფორმების განვითარება ჯანსაღ საფუძველზე ხდებოდეს. საზოგადოების შეგნებაში უნდა განვამტკიცოთ ხარისხის პრიორიტეტი ამ სიტყვის ფართო გაგებით, დაეძლიოთ ფსიქოლოგიური გათანაბრება, სხვისი მოიმედეობა. ამავე დროს უზრუნველვყოთ შრომისადმი პატიოსანი, კეთილსინდისიერი დამოკიდებულების ავტორიტეტი, ვიბრძოლოთ წარმოებაში უწესრიგობის წინააღმდეგ. ახლაც აქტუალურია ლენინის ანდერძი „ვისწავლოთ მუშაობა“.

და ბოლოს, საჭიროა განსაკუთრებით აღვნიშნოთ, რომ ჩვენი პროაპაგანდა არ უნდა თესავდეს ილუზიებს, როგორც ხშირად ხდებოდა წინათ, სასურველს სინამდვილედ არ უნდა ასაღებდეს. რეალიზმი, ფხიზელი, მართალი შეხედულება საგნებსა და მოვლენებზე — ყოველივე ეს უცილობელი მოთხოვნებია.

იდეოლოგიური მუშაკები მოწოდებული არიან ნათლად ხედავდნენ მიზანს, კი არ უნდა მალავდნენ, არამედ გვაფრთხილებდნენ შესაძლო მეჩეჩებისა და რიფების შესახებ, უნდა შეეძლოთ შეაკავშირონ ადამიანები, შექმნან ერთსულოვანი მუშაობის, შემოქმედებითი ძიების ატმოსფერო. სხვაგვარად ნდობას ვერ მოიპოვებ.

ეს თანაბარწილად ეხება იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის სხვა მიმართულებებსაც. მაგალითად, სავსებით ცხადია, რომ მომწიფდა ზნეობრივი აღზრდის კომპლექსური სისტემის შექმნის საჭიროება. გარდაქმნა ხომ არის ზნეობის აღორძინება ყველფერში, ამორალიზმისა და თავაშვებულობის, განუკითხაობისა და ცინიზმისაგან საზოგადოების განწმენდა. ამასთან ეს უნდა ხდებოდეს თვით მშრომელთა უშუალო მონაწილეობით.

აქ, სამწუხაროდ, საშუალება არა გვაქვს დაწვრილებით შეეეხოთ ყველა მიმართულებას, კერძოდ, ახალი პოლიტიკური აზროვნების შემუშავების პრობლემებს. შემოძღოა მხოლოდ ვთქვა, რომ ყველა ეს პრობლემა იდეოლოგიური განყოფილების თვალთახედვის არეშია.

— **ზოგს აშინებს, რომ წინა წლებისაგან განსხვავებით, როცა თითქოს ყველასთვის ყველაფერი ნათელი იყო და ყველფერი ერთმნიშვნელოვნად აღიქმებოდა, ახლა ბევრი პრობლემის გამო გამოთქმის სხვადასხვა, ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრება. დამეთანხმებით, მართლაც უძნელდებათ, ვთქვათ, პროპაგანდისტებს, ლექტორებს უპასუხონ კითხვებს მუშათა, კოლექტივებშიც და სტუდენტთა აუდიტორიებშიც...**

—მართალია, უძნელდებათ მაგრამ უნდა ვისწავლოთ მუშაობა აზრთა პლურალიზმის პირობებში, სრულად უნდა გავითვალისწინოთ პარტიისა და ხალხის კოლექტიური გამოცდილების, კოლექტიური აზრის მთელი სიმდიდრე. კი არ ახალი მიდგომა, პოლიტიკური სიტუაციის ობიექტურად ადგას. სხვები, პირიქით, ჩქარობენ განზოგადონ მოვლენები, არაკომპეტენტურად, სუბიექტურად, უაქესაციოდ მსჯელობენ. უნდა გავიაზროთ კვლევის დაგეგმვისა და კოორდინაციის, სოციალური პრაქტიკის მოთხოვნებთან მისი კავშირის გაუმჯობესების ღონისძიებანი. უეჭველია ისიც, რომ აქტუალური ხდება ახალი შემოქმედებითი ძალების მოზდვევების პრობლემა.

ბევრია, როგორც იტყვიან, დადასაწყვეტი საკითხი პარტიული კომიტეტების პრაქტიკულ მუშაობაშიც. მაგალითად, როგორ უნდა უზრუნველვყოთ პოლიტიკურ, იდეოლოგიურ მეთოდებზე გადასვლა? როგორც ცნობილია, მიღებულია გადაწყვეტილებანი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, სამეურნეო ორგანოების ფუნქციების გამიჯვნის შესახებ. მაგრამ დღემდე პარტიული კომიტეტები ხშირად იძულებული არიან, ასე ვთქვათ, უშუალოდ განაგებდნენ წარმოების, მომარაგების საქმეებს და სხვა. იდეოლოგიისა და ეკონომიკის დაკავშირება ადამიანს შეუძლია. და ამოცანაც, მაშასადამე, ის არის, რომ სოციალურ-ეკონომიკურმა ცვლილებებმა ჩამოაყალიბონ მშრომელი ადამიანის აქტიური პიროვნება, იდეურ-აღმზრდელობითმა მუშაობამ კი განუმტკიცოს მას ბატონ-პატრონის, ქმედითი მონაწილისა და ეკონომიკური და სოციალური პროგრესისათვის მებრძოლის გრძნობა.

დღეს, როცა ჩვენს ცხოვრებაში მკვიდრდება ახალი ეკონომიკური ფორმები, ინერგება იჯარა, სამეურნეო ანგარიში, კოოპერაცია, მრავალფეროვანი ინდივიდუალური შრომითი საქმიანობა, საჭიროა, ერთი მხრივ დაეძლიოთ აკვიატებული დამოკიდებულება მათ მიმართ, აზროვნებისა და მოქმედების კონსერვატიზმი. მეორე მხრივ, ყოველდღიურად უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ ამ ფორმების განვითარება ჯანსაღ საფუძველზე ხდებოდეს. საზოგადოების შეგნებაში უნდა განვამტკიცოთ ხარისხის პრიორიტეტი ამ სიტყვის ფართო გაგებით, დაეძლიოთ ფსიქოლოგიური გათანაბრება, სხვისი მოიმედეობა. ამავე დროს უზრუნველვყოთ შრომისადმი პატიოსანი, კეთილსინდისიერი დამოკიდებულების ავტორიტეტი, ვიბრძოლოთ წარმოებაში უწესრიგობის წინააღმდეგ. ახლაც აქტუალურია ლენინის ანდერძი „ვისწავლოთ მუშაობა“.

და ბოლოს, საჭიროა განსაკუთრებით აღვნიშნოთ, რომ ჩვენი პროაპაგანდა არ უნდა თესავდეს ილუზიებს, როგორც ხშირად ხდებოდა წინათ, სასურველს სინამდვილედ არ უნდა ასაღებდეს. რეალიზმი, ფხიზელი, მართალი შეხედულება საგნებსა და მოვლენებზე — ყოველივე ეს უცილობელი მოთხოვნებია.

იდეოლოგიური მუშაკები მოწოდებული არიან ნათლად ხედავდნენ მიზანს, კი არ უნდა მალავდნენ, არამედ გვაფრთხილებდნენ შესაძლო მეჩეჩებისა და რიფების შესახებ, უნდა შეეძლოთ შეაკავშირონ ადამიანები, შექმნან ერთსულოვანი მუშაობის, შემოქმედებითი ძიების ატმოსფერო. სხვაგვარად ნდობას ვერ მოიპოვებ.

ეს თანაბარწილად ეხება იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის სხვა მიმართულებებსაც. მაგალითად, სავსებით ცხადია, რომ მომწიფდა ზნეობრივი აღზრდის კომპლექსური სისტემის შექმნის საჭიროება. გარდაქმნა ხომ არის ზნეობის აღორძინება ყველფერში, ამორალიზმისა და თავაშვებულობის, განუკითხაობისა და ცინიზმისაგან საზოგადოების განწმენდა. ამასთან ეს უნდა ხდებოდეს თვით მშრომელთა უშუალო მონაწილეობით.

აქ, სამწუხაროდ, საშუალება არა გვაქვს დაწვრილებით შეეეხოთ ყველა მიმართულებას, კერძოდ, ახალი პოლიტიკური აზროვნების შემუშავების პრობლემებს. შემოძღოა მხოლოდ ვთქვა, რომ ყველა ეს პრობლემა იდეოლოგიური განყოფილების თვალთახედვის არეშია.

— **ზოგს აშინებს, რომ წინა წლებისაგან განსხვავებით, როცა თითქოს ყველასთვის ყველაფერი ნათელი იყო და ყველფერი ერთმნიშვნელოვნად აღიქმებოდა, ახლა ბევრი პრობლემის გამო გამოთქმის სხვადასხვა, ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრება. დამეთანხმებით, მართლაც უძნელდებათ, ვთქვათ, პროპაგანდისტებს, ლექტორებს უპასუხონ კითხვებს მუშათა, კოლექტივებშიც და სტუდენტთა აუდიტორიებშიც...**

—მართალია, უძნელდებათ მაგრამ უნდა ვისწავლოთ მუშაობა აზრთა პლურალიზმის პირობებში, სრულად უნდა გავითვალისწინოთ პარტიისა და ხალხის კოლექტიური გამოცდილების, კოლექტიური აზრის მთელი სიმდიდრე. კი არ ახალი მიდგომა, პოლიტიკური სიტუაციის ობიექტურად ადგას. სხვები, პირიქით, ჩქარობენ განზოგადონ მოვლენები, არაკომპეტენტურად, სუბიექტურად, უაქესაციოდ მსჯელობენ. უნდა გავიაზროთ კვლევის დაგეგმვისა და კოორდინაციის, სოციალური პრაქტიკის მოთხოვნებთან მისი კავშირის გაუმჯობესების ღონისძიებანი. უეჭველია ისიც, რომ აქტუალური ხდება ახალი შემოქმედებითი ძალების მოზდვევების პრობლემა.

ბევრია, როგორც იტყვიან, დადასაწყვეტი საკითხი პარტიული კომიტეტების პრაქტიკულ მუშაობაშიც. მაგალითად, როგორ უნდა უზრუნველვყოთ პოლიტიკურ, იდეოლოგიურ მეთოდებზე გადასვლა? როგორც ცნობილია, მიღებულია გადაწყვეტილებანი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, სამეურნეო ორგანოების ფუნქციების გამიჯვნის შესახებ. მაგრამ დღემდე პარტიული კომიტეტები ხშირად იძულებული არიან, ასე ვთქვათ, უშუალოდ განაგებდნენ წარმოების, მომარაგების საქმეებს და სხვა. იდეოლოგიისა და ეკონომიკის დაკავშირება ადამიანს შეუძლია. და ამოცანაც, მაშასადამე, ის არის, რომ სოციალურ-ეკონომიკურმა ცვლილებებმა ჩამოაყალიბონ მშრომელი ადამიანის აქტიური პიროვნება, იდეურ-აღმზრდელობითმა მუშაობამ კი განუმტკიცოს მას ბატონ-პატრონის, ქმედითი მონაწილისა და ეკონომიკური და სოციალური პროგრესისათვის მებრძოლის გრძნობა.

დღეს, როცა ჩვენს ცხოვ

ჩვენი დღევანდელი ცხოვრების ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანი ისაა, რომ ბევრი კულტურული და ისტორიული ფაქტისა თუ მოვლენის ხელახლა გააზრება, მისი ახლებური შეფასება ხდება. ეს ჩვენს თაობას საშუალებას აძლევს უკეთ და სრულად დაინახოს ჩვენი ისტორიის ზოგიერთი ასპექტი, რაც ადრე ნაკლულად, ან ზოგჯერ, პირდაპირ სათქმელია, მცდარადაც იყო გაგებული. ზედმეტად მკაცრ და ზოგჯერ ცალმხრივ დამოკიდებულებას ვიჩენდით ხოლმე, მაგალითად, დემოკრატიული ინტელიგენციის ზოგიერთი კულტურულ-პოლიტიკური ნაკადის და მისი მესვეურების შეფასებაშიც. ანგარიშს არ ვუწევდით იმას, რომ პროლეტარულ კლასობრივ პოზიციებთან ერთად, ისტორიულ მოვლენათა და პიროვნებების შეფასებაში ზოგადსაკაცობრიო იდეალებთაც უნდა გვეხელმძღვანელა.

დღეს საჯაროობამ და დემოკრატიამ საშუალება მოგვცა უფრო გავიფართოოთ საკუთარი პოლიტიკური და ისტორიოგრაფიული თვალსაწიერი, დავინახოთ, რომ ჩვენი საუკუნის დამდეგიდანვე საზოგადოებრივი პროგრესის განხორციელებაში, ცხადია, თავისი სპეციფიკური და შესაძლოა არც თუ ყოველთვის უდავო მსოფლმხედველობით, თვალსაჩინო როლს ახრულებდა ქართული დემოკრატიული ინტელიგენციაც, რომლის არაერთი წარმომადგენლის მიმართაც დიდხანს ცალმხრივი და მარტოოდენ უარყოფითი დამოკიდებულება გვქონდა.

ჩვენი დემოკრატიული ინტელიგენციის გამოჩენილ წარმომადგენელთა შორის მუდამ გამორჩეული ავტორიტეტით სარგებლობდა ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე, იურისტი და ისტორიკოსი, პროფესორი ზურაბ ავალიშვილი. სიძნელეებთა და წინააღმდეგობებით იყო აღსავსე ბობოქარი ეპოქა, რომელშიც ზურაბ ავალიშვილი მოღვაწეობდა. იგ-ვარდით მოფენილი და ცალსახა არ ყოფილა მისი ცხოვრების გზაც, მაგრამ შთამომავლობა ყველაფერს მისხალ-მისხალ წონის და ყველას დამსახურებისამებრ მიაგებს. ამიტომ იგი ვერ დაივიწყებს ვერც ამ გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის მიერ შეტანილ ღირსეულ წვლილს ქართული ეროვნული თვითშეგნების აღორძინებაში.

გთავაზობთ ზურაბ ავალიშვილის პოლიტიკურ და მეცნიერულ პორტრეტს, რომელიც ჩვენში მისი შემქმნის პირველი ცდაა და ცხადია, იგი მომავალშიც უნდა შეივსოს.

ზურაბ ავალიშვილი

შტრიხები პორტრეტისათვის

თანამედროვე ინტელექტუალური ცხოვრების წინსვლა უცილობლად დაკავშირებულია მთელ რიგ კულტურულ ღირებულებათა ხელახალ შეფასებასთან. ეროვნულ მოღვაწეთა გალერეაში ბრუნდება წარსული თაობების არაერთი მოღვაწე, რომელთა სახელებიც ათეული წლების მანძილზე ჩვენი ქვაზისოციალისტური აზროვნების წყალობით დავიწყებისათვის გვქონდა გამეტებული. ამ გარემოებას ამთავითვე უნდა განეპირობებინა ჩვენი სულიერი ცხოვრების დაქვეითება, რასაც ახლა განვიცდით და მის გამოსწორებას ვცდილობთ. განსაკუთრებით ჩანს ეს უკმარისობა დემოკრატიული ინტელიგენციის იმ თაობის ბაგალითზე, რომელმაც ჩვენი საუკუნის გარიჟრაჟზევე ხელში აიღო ილიას დაწყებული საქმის ესტაფეტა და ვიდრე შეეძლო, გულწრფელად ემსახურა ეროვნული იდეალებისათვის ბრძოლის საქმეს. ამავე სულისკვეთებით ქმნიდა იგი კულტურულ-ინტელექტუალურ ღირებულებებს უცხოეთში, რის შესახებ ჩვენ ჯერჯერობით სისტემური და ამომწურავი ცოდნა არ გაგვაჩნია. დღესდღეობით დეტალურად ისიც კი არ ვიცით, თუ რა არ ვიცით ამ სამყაროს შესახებ.

* * *

ჩვენი საუკუნის დამდეგს ქართული დემოკრატიული ინტელიგენციის რიგებში მოვიდნენ ნიჭიერი პოლიტიკური მოღვაწენი და მეცნიერები — ივანე ჯავახიშვილი არჩილ ჯორჯაძე, კიტა აბაშიძე, მიხაკო წერეთელი და სხვები. მათ შორის იყო ზურაბ ავალიშვილი.

განსაკუთრებით გამოიკვეთა მათი როლი და პასუხისმგებლობა ჩვენ ერის სულიერ ცხოვრებაში იმ დროიდან, რაც წიწამურის ტრაგედიის შემდეგ პოლიტიკურ სარბიელს გამოაკლდა ილია ჭავჭავაძე.

ზურაბი 1876 წელს დაბადებული დავით ავალიშვილის, საგლეხო ბანკის დირექტორის, და ოლგა გოლმბლატის, კავკასიის სამედიცინო სამსახურის შეფის ედუარდ გოლმბლატის ასულის ოჯახში. მან პატარაობიდანვე საოცარი ნიჭი გამოიჩინა ენებისადმი, რომლებსაც შემდგომში ჩინებულად ფლობდა.

კვირცხლი გონების პატრონად ჩარჩათ ზ. ავალიშვილი მეხსიერებაში თანამედროვეებს იმ პერიოდიდანვე, როცა მან ოქროს მედლით დაამთავრა თბილისის გიმნაზია და ისევ ჯავახიშვილთან ერთად პეტერბურგის უნივერსიტეტში გაემგზავრა იურიდიულ ფაკულტეტზე სასწავლებლად.

უკვე მაშინვე ზ. ავალიშვილი გასაკუთრებით გამოირჩეოდა ქართველ სტუდენტთა შორის და არჩილ ჯორჯაძესთან ერთად ყველას ანცვიფრებდა თავისი მრავალმხრივი განათლებით.

* * *

ზურაბის სტუდენტობა დაემთხვა რუსეთის იმპერიის ხალხთა ცხოვრებაში იმ ღირსშესანიშნავ ეტაპს, როცა განმთავისუფლებელი მოძრაობის პროლეტარული ძალების პარალელურად სამოქმედო ასპარეზზე გამოდიოდა ახალი თაობის რუსული ლიბერალიზმი. მონარქიის მარადისობის იდეას ბზარი გაუჩნდა და ქართული საზოგადოების თავკაცებიც ცდილობდნენ მომავლისათვის ხელსაყრელი დრო არ გაეშვათ საკუთარი ქვეყნის პოლიტიკური აღორძინებისათვის.

ეს გარემოება კარგად გამოჩნდა საქართველოს რუსეთთან შეერთების 100 წლის იუბილის დროს, როცა თავადაზნაურული ინტელიგენციის პროგრესულად განწყობილი ფენა მორიდებული ფორმით იხსენებდა ერთი საუკუნის წინათ ცარიზმის მიერ ქართული სახელმწიფოს ცალმხრივი წესით გაუქმებას. იგი მეფეს მოაგონებდა საკუთარ ღვაწლსაც რუსეთის იმპერიის განმტკიცების საქმეში, რის საფასურადაც, ცხადია, ქვეყნის ეროვნული გადარჩენის გარანტია უნდოდა მიეღო.

ახალგაზრდა ზ. ავალიშვილი ამ იდეის შესაბამისად წერს სადიპლომო გამოკვლევას („საქართველოს რუსეთთან შეერთება". 1901, მეორე გამოცემა 1906), რომელშიც დიდი საზოგადოებრივი მსჯელობა გამოიწვია. დაიბეჭდა რეცენზიებიც, სადაც შენიშნავდნენ: ავტორმა ფაქტიურად უჩვენა, რომ გაუქმების წინ ქართლ-კახეთის სამეფო სუვერენული საზელმწიფო იყო. ამ თეზისს მომავლისათვის სათანადოდ გამოიყენებენ ეროვნულ-დემოკრატები, რომლებიც ცარიზმს სამართლებრივ დონეზე მოსთხოვენ ავტონომიის სახით საქართველოს სახელმწიფოებრივ რესტავრაციას.

თავისი წიგნის ერთ ეგზემპლარს ზ. ავალიშვილი მოწიწებით მიართმევს საქართველოს ეროვნული აღორძინების დიდ მედროშეს ილია ჭავჭავაძეს.

* * *

უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე ზ. ავალიშვილს მეცნიერობა გამოჩენილი რუსი იურისტი ნ. მ. კორკუნოვი — უცხოთის სახელმწიფო და საერთაშორისო სამართლის ცნობილი სპეციალისტი, რომელიც ახალგაზრდა ქართველს საპროფესოროდ მოსამზადებლად სტოვებს უნივერსიტეტში.

ცნობისათვის:

„ბვეველინებოდა რა სამართლებრივი სახელმწიფოს იდეის მომხრედ, ნ. მ. კორკუნოვი ცდილობდა ეს იდეა გამოეყენებინა რუსეთის თვითმპყრობელობის პირობებში" (დიდი საბჭოთა ენციკლოპედია, III გამოცემა, ტ. 18 გვ. 179).

ნ. კორკუნოვის რჩევით ზ. ავალიშვილი ხელს ჰკიდებს საფრანგეთის სახელმწიფოებრივი წყობილების დეცენტრალისტური საყრდენების შესწავლას, რისი გათვალისწინებაც რუსეთის ლიბერალიზმისათვისაც აქტუალური პრობლემაა, ვინაიდან საერთო მოძრაობა დეცენტრალიზმისა და თვითმმართველობის პრინციპებს ეფუძნება. ამ იდეას სიმპათიით ეკიდება პატარა ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი აზრიც. სწორედ ზემოხსენებულ პრინციპებთანაა გადაჯაჭვული ავტონომიის იდეაც.

ზ. ავალიშვილი საფრანგეთში მიემგზავრება არქივებში სამუშაოდ, ამზადებს და სცემს ვრცელ მონოგრაფიას („დეცენტრალიზაცია და თვითმმართველობა საფრანგეთში"). 1904 წელს ავალიშვილი სამაგისტრო დისერტაციას იცავს, რაც პეტერბურგელი იურისტების წრეში ერთგვარ მოვლენადაც აღიქმება. ზურაბის ნაშრომს მაღალ შეფასებას აძლევს ქართველი ხალხის დიდი პატიოსანმცემელი, გამოჩენილი რუსი სოციოლოგი და პოლიტიკური მოღვაწე მაქსიმე კოვალევსკი, რომელსაც ჩვენი თანამემამულეებისათვის პატივისცემა და ყურადღება არც სხვა დროს მოუკლია. გავიხსენოთ თუნდაც მისი დამოკიდებულება ილია ჭავჭავაძისადმი, ვისთან ერთადაც იგი სახელმწიფო საბჭოს არჩეული წევრი იყო.

* * *

აქტიური პოლიტიკური პოზიცია ეკავა ზ. ავალიშვილს რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში. მას ასახელებენ სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატობის კანდიდატადაც.

ზ. ავალიშვილი მონაწილეობს ავტონომისტების კონფერენციასა და „ავტონომისტთა კავშირის" მუშაობაში. ეს უკანსკნელი ჩამოყალიბდა პირველი სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატებისაგან ა. ი. ლედნიკის მეთაურობით. ამ კავშირთან ახლოს იყო და მის მუშაობაზე დიდ იმედებს ამყარებდა სახელმწიფო საბჭოში სამუშაოდ მყოფი ილია ჭავჭავაძეც, რომელიც საქართველოს ავტონომიაზე ოცნებობდა. მაგრამ ამ საქმეში მას არსებითად უგანეს სათათბიროს ქართველმა მენშევიკმა სოციალ-დემოკრატებმა, რომლებიც ავტონომიას ებრძოდნენ კიდევაც.

პირველი რევოლუციის შემდეგ წლებში ზ. ავალიშვილმა გამოაქვეყნა ნაშრომები სენიბისა და ფედერალიზმის, საქართველოში ეროვნული საკითხის შესახებ, რომლის ავტორიტეტულ ექსპერტადაც ცნობდნენ მას. იგი სამშობლოში ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობის თვალსაჩინო ფიგურად იქცა.

მან სახელი გაითქვა, როგორც იურისტმა. სახელმწიფო სამართლის პრივატ-დოცენტი იყო პეტერბურგის უნივერსიტეტში. იგი 1909 წელს მიიწვიეს პეტერბურგის პოლიტექნიკურ ინსტიტუტშიც პროფესორად და ადმინისტრაციული სამართლის კათედრის გამგედ. მონაწილეობდა დედაქალაქის კულტურულ ცხოვრებაშიც. იყო „ოგნის" საბჭოში, რომელიც კულტურისა და ცივილიზაციის სხვადასხვა პრობლემებზე აქვეყნებდა წიგნებს.

* * *

1917 წლის თებერვლის რევოლუციამ ახალი იმედები გაუღვიძა რუსეთის იმპერიის პატარა ერებს.

მარტის დამდეგს ზ. ავალიშვილი დაიბარა რუსეთის იუსტიციის მინისტრმა, შემდეგში დროებითი მთავრობის თავმჯდომარემ ა. თ. კერენსკიმ და წინადადება მისცა შესულიყო ამიერკავკასიის მმართველობისათვის შექმნილ კომიტეტში. შეთანხმდნენ, ეს ფუნქცია კიტა აბაშიძეს შეესრულებინა.

ზ. ავალიშვილის მოგონებით, „ა. თ. კერენსკი ახლო განწყობილებაში იყო კავკასიის ფრონტზე 1915 წელს დაღუპულ სახელმწიფო სათათბიროს წევრთან ვ. ლ. გელოვანთან და ქართველ სხვა მოღვაწეებთან და ამიტომ კავკასიის პოლიტიკურ მიმართულებებსა და საკითხებს იცნობდა".

პეტერბურგის ქართველობაც თადარიგს იჭერდა ეროვნული სახელმწიფოებრიობის პრობლემებზე. მარტში ზ. ავალიშვილი თავმჯდომარეობდა კრებას, რომლის მთავარი საკითხი იყო საქართველოს დამოუკიდებლობა ავტონომიის მოპოვების გზით. ზ. ავალიშვილი იგონებს: „თბილისს უნივერსიტეტის საფუძვლის მომავალმა ჩამყარელმა, ცნობილმა ქართველმა ისტორიკოსმა ი. ჯავახიშვილმა ამ კრებაზე წარმოთქვა ზეშთაგონებული სიტყვა: მისი ბაგეთა სამუალებით რაღაც ახალ კილოზე უეცრად ალაპარაკდა საქართველოს ათასი წლის პოლიტიკური ტრადიცია".

* * *

1918 წლის დამდეგს ზ. ავალიშვილი სამშობლოში გამოემგზავრა და აპრილის ბოლოს თბილისს ჩამოაღწია.

ამიერკავკასიის და საქართველოს პოლიტიკურ ძალთა განლაგება ძველებური კინოს კადრებივით სწრაფად იცვლება. 1918 წლის 26 მაისს საქართველო დემოკრატიულ რესპუბლიკად ცხადდება. მოკიდებული ბათუმის კონფერენციიდან, რომელიც მიმდინარეობდა 1918 წლის მაისში ამიერკავკასიის, კერძოდ, საქართველოს მომართ ოსმალეთის ტერიტორიულ პრეტენზიებთან დაკავშირებით, ზ. ავალიშვილი სისტემატურად მონაწილეობდა საქართველოს საგარეო-პოლიტიკური კურსის შემუშავებასა და რეალიზაციაში. როგორც საერთაშორისო სამართლის აღიარებული ექსპერტი, იგი საზღვარგარეთ მიემგზავრება საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობისათვის საერთაშორისო ურთიერთობებში.

საკუთარი მოღვაწეობის ეს მხარე ზ. ავალიშვილმა ვრცლად აღწერა თავის წიგნში „საქართველოს დამოუკიდებლობა", რომელიც რუსულად პირველად გამოვიდა 1924 წელს, 1926 წელს კი ზემოხსენებული ნაშრომის ქართული თარგმანი საქართველოშიც დაიბეჭდა შალვა ელიავას წინასიტყვაობით.

ამ წიგნის ყოველმხრივი მეცნიერული შეფასება ჯერჯერობით სამომავლო საქმეა. ახლა კი მხოლოდ იმის თქმა იკმარებდა, რომ ამ წიგნით გარდასული მოვლენათა მკაცრად რეალისტურ ანალიტიკოსთან ერთად, ზ. ავალიშვილი წარმოსდგა როგორც შესანიშნავი მემუარისტი, ვისი ხელითაც დგებოდა საქართველოს უცხო სახელმწიფოებთან დადებული თითქმის ყველა დიპლომატიური შინაარსის დოკუმენტი. ზ. ავალიშვილი აპირებდა თავისი წიგნისათვის „ეს დოკუმენტებიც დაერთო, რაც ვერ მოახერხა. ამის მიუხედავად, ხსენებულ ნაშრომს, როგორც საქართველოს ახალი ისტორიის მემუარულ წყაროს, გვერდს ვერ აუვლის ამ დროის საქართველოს საგარეო პოლიტიკის ვერც ერთი მკვლევარი.

ზ. ავალიშვილის ეს წიგნი მარტო საქართველოს საერთაშორისო ცნობისათვის ბრძოლის ისტორიის მშრალი ქრონიკა როდია. იგი ამასთანავე მშვენიერი ეროვნული საქართველოს მმართველი ელიტისა.

მენშევიკური საქართველოს პოლიტიკური სისტემის მსხვრევას ზ. ავალიშვილი მარტო საგარეო ფაქტორის შედეგად კი არ თვლის, არამედ თვით მაშინდელი საქართველოს მთავრობის უუნარობითაც ქვეყნის თავდაცვის უზრუნველყოფის საქმეში. ეს თვალსაზრისი, რომელიც საზღვარგარეთის ქართველ წრეებში ახლაცაა გავრცელებული, ყველაზე



ვრცლად პირველად ზ. ავალიშვილმა ჩამოაყალიბა.

თავისი კრედო ზ. ავალიშვილმა ნათლად გადმოსცა წიგნის შესავალშივე. მისი აზრით, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა არ შეესაბამებოდა სახელწოდებას და მისი პოლიტიკური ორიენტაციის ძიებაში საქართველო მუდამ მოგებული რჩებოდა ევროპულ სამყაროსთან ურთიერთობით, რადგანაც იგი კულტურულ-ფსიქოლოგიურად ყველაზე მისაღები იყო ქართველობისათვის. ამ გაგებით, ზ. ავალიშვილისათვის რუსეთიც ისტორიულად ევროპა იყო.

ასეთი პოლიტიკური განწყობილებითაა დაწერილი ზ. ავალიშვილის უცხოეთში გამოცემული ნაშრომები, რომელთა სიასაც მკითხველი გაეცნობა ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის სტატიაში (ზ. ავალიშვილი), რომლის ავტორი მეც გახლავართ.

განსაკუთრებით საინტერესოა ზ. ავალიშვილის „ოთხი სისტორიონ ნარკვევი" (ზოგადი სათაური: „ჯვაროსანთა დროიდან", პარიზი, 1929), სადაც დასავლეთ ევროპული წყაროების და ლიტერატურის გამოწვლილვითი ანალიზით შესწავლილია ისეთი სიუჟეტები, როგორიცაა ანასელუსის ეპისტოლე დავით აღმაშენებელზე, გოტიე კანცლერი დიდგორის ბრძოლის შესახებ, დე ბუას წერილი გიორგი ლაშა-ლაშქრობაზე, ტრაპეზონის იმპერიის დაარსება და საქართველოს როლი ამ აქტში. ამ ნარკვევებით, არსებითად, ზ. ავალიშვილმა საფუძველი ჩაუყარა დავითის და თამარის ეპოქის საქართველოს დასავლეთ ევროპულ (ჯვაროსნულ) სამყაროსთან ურთიერთობების მეცნიერულ შესწავლას. ამ საქმეში მას ქართულ ისტორიოგრაფიაში მხოლოდ მიქელ თამარაშვილი თუ უსწრებდა.

ანალოგიური მიმართულებითაა სხვა ნაშრომებში განხილული საქართველოს ისტორიის ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტები, როგორიცაა საქართველო-ბიზანტიის წინააღმდეგობები დავით კურაპალატის მემკვიდრეობისათვის ბრძოლაში, დასავლეთ ევროპის პოლიტიკური წრეების კონტაქტები საქართველოსთან ანტიოსმალური კოალიციის შექმნის მიზნით და სხვა.

ნაშრომების მთელი ციკლი მიუძღვნა ზ. ავალიშვილმა საქართველოს პრობლემას სეფიანთა ირანის პოლიტიკაში. ამ სტატიებს იგი აქვეყნებდა ემიგრანტულ კრებულში „კავკაზ". ეს თემა მან ვრცლად ასახა თავის ცნობილ წიგნში „თეიმურაზ I და მისი პოემა „წამება ქეთევან დედოფლისა" (პარიზი, 1938 წ.). აქ უამრავი ახალი მასალის მიხედვითაა გარკვეული პოემის პერსონაჟებისა და სიუჟეტის სანდოობის საკითხები.

ზ. ავალიშვილი ფართოდ იკვლევდა რუსთველოლოგიურ თემატიკასაც, რაც ჩვენში კარგადაა ცნობილი.

* * *

მეორე მსოფლიო ომის წინა წლებში ზ. ავალიშვილს გერმანიაში ვხედავთ. ფრაგმენტული გამოკვლევები ვიცით მისი იმდროინდელი ცხოვრების ზოგიერთი ფაქტი.

ომის წლებში მან დიდი პატრიოტული აქცია ჩაიდინა. ნაცისტების მიერ საფრანგეთის ოკუპაციის ჟამს გერმანელები ვიდაცის დასმენის საფუძველზე ვილნელში მყოფ ექვთიმე თაყაიშვილსაც მიადგნენ საქართველოს იმ სიძველეების ჩამოსართმევად, რომელსაც იგი თითქმის მეოთხედი საუკუნე ედგა მცველად. გერმანელებმა საგანგებო კომისიაც კი შექმნეს საამისოდ, სადაც ზ. ავალიშვილიც შეიყვანეს. მაშინ ამ უკანასკნელმა „ქართულ ეშმაკობას" მიმართა. დასაკნაში ის აზრი გაატარა, რომ ეს სიძველეები მსოფლიო-ისტორიულ ღირებულებას არ განეკუთვნება, ისინი მხოლოდ ქართველობისათვის წარმოადგენენ ფასეულობასო. პედანტმა გერმანელებმაც დაიჯერეს ეს და საქართველოს სიძველეებს დაეხსნენ. ასე გადარჩა იგი ქართველობისათვის.

* * *

ომი და ნგრევა გრძელდებოდა. ზურაბი კი ისევ საქართველოს წარსულს ჩაჰკირკიტებდა.

ამ ოცდაექვსიოდე წლის წინ როინ მეტრეველთან ერთად (მაშინ ჯერ კიდევ სტუდენტები ვიყავით) წიგნზე ემუშაობდი ექვთიმე თაყაიშვილის შესახებ. მის არქივში გავიცანი ე. თაყაიშვილის ესკიზი ზ. ავალიშვილზე. იქვე წაკაწყდი ბუკლეტური ტიპის ანონსს იმის შესახებ, რომ მიუნხენში გერმანულად დაიბეჭდა ზ. ავალიშვილის „საქართველოს ისტორია". მას აქეთ უცხოელი კოლეგების მეშვეობით დავეძებ ამ ნაშრომს, მაგრამ მისი კვალი არსად ჩანს. ვინ იცის, იქნებ ეს წიგნი ტიპოგრაფიასაც კი ვერ გასცდა და მხოლოდ ზემოაღნიშნულმა ცნობამ შეინახა მითითება მის არსებობაზე? უცხოეთიდან მოწერილი ერთი ბარათით, ზ. ავალიშვილს დარჩა რამდენიმე ნაშრომი. ხომ არაა მასში ნაგულისხმები ზ. ავალიშვილის ზემოხსენებული წიგნიც?

1944 წელს ზ. ავალიშვილი გარდაიცვალა.

ჩემს სტუდენტობაში ამის შესახებ ვკითხე აკადემიკოს შალვა ნუცუბიძეს, რომელმაც გერმანიაში ომისდროინდელი ქართველობის შესახებ ბევრი რამ იცოდა. ბატონმა შალვამ ცოტა არ იყოს ეჭვითა და გაკვირვებითაც შემოხედა, რადგანაც მაშინ ზ. ავალიშვილზე ლაპარაკს ერიდებოდნენ. ეს იყო ჩვენი უნივერსიტეტის პირველ კრარუსში, სამეცნიერო ბიბლიოთეკის კატალოგებთან. მაინც მითხრა, გაძიგია, ზურაბი თავისი სიკვდილით აღსრულა; ოთახში რომ შევიდნენ, ნახეს, სავარძელში იჯდა და ალარ სუნთქავდაო.

ერთი ცნობის მიხედვით, ზურაბის სიკვდილის შემდეგ მისი არქივი თვალს მეფფარა. დაიღუპა? თუ ასეა, უნდა წარმოვიდგინოთ, რა ფასეულობა დაგვიკარგავს. იქ ხომ დაცული უნდა ყოფილიყო საქართველოს ისტორიის უმდიდრესი დოკუმენტური მასალა, რომელსაც ზ. ავალიშვილი წლების მანძილზე აგროვებდა. და მაინც, არის კიდევ შანსი ამ არქივის მოძიებისა.

ამ რამდენიმე წლის წინ ჩვენი კოლეგისა და თანამემამულის, ამერიკაში მოღვაწე ხელოვნებათმცოდნის, პროფესორ ვახტანგ ჯობაძის დახმარებით შეეტყვეთ, რომ ზურაბ ავალიშვილი დაკრძალული ყოფილა ობერამფალცის დაბა შვანდორფის ძველებურ სასაფლაოზე.

* * *

დრო მიდის და ცხოვრება ახალ კალაპოტს ჭრის.

ჩვენც, ტრადიციისამებრ, ვოცნებობთ...

რა მოხდებოდა აქ ზ. ავალიშვილზე ხანგრძლივად ნოცნებობრიც გვეთქვა.

რა იქნებოდა, რომ ზ. ავალიშვილის სამეცნიერო შემოქმედება, ის, რაც ვიცით მაინც, ცალკე წიგნად გამოგვეცა. ეს ხომ გააადვილებდა მისი შემოქმედების საჭირო კრიტიკული სიღრმით შესწავლას?

რა იქნებოდა, რომ სპეციალური სამეცნიერო ექსპედიცია მოგვეწყო მისი არქივის მოსაძებნად?

ზოთა გადრიძე,
პროფესორი.

ს ურ ა თ ზ ე: სხედან (მარცხნიდან მარჯვნივ) — ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, ზურაბ ავალიშვილი, ივანე ჯავახიშვილი. დგანან — გ. უაზანაშვილი და ივ. ნიუარაძე. სურათის გადაღების თარიღია 1900 ან 1901 წელი.

განვიხილავთ პროექტს

შემქმნათ ქართული მწიგნობრობის მუზეუმი

● **მეოთხე** თვეა, ჩვენი საზოგადოებრიობა უდიდესი გულისყურით განიხილავს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით შემუშავებულ ქართული ენის შემდგომი განვითარების სახელმწიფო პროგრამის პროექტს.

საქართველო მწიგნობრობის უძველესი ქვეყანაა.

ორი დიდი საიუბილეო თარიღი — პირველი ქართული ჰაგიოგრაფიული წიგნამოების „წამებანი წმინდისა შუშანიკისი დედოფლისანი", რომლის დაწერის 1500 წლისთავი 1978 წელს აღინიშნა და ქართული წიგნის დაბეჭდვის 350 წლისთავი, რომელიც 1979 წელს ვიზეიმეთ, ნათელი დადასტურებაა იმისა, თუ რაოდენ დიდი ყურადღება ექცეოდა ერის ისტორიულ წარსულს. ჩვენმა ერმა, მსოფლიოს ხალხებიდან პირველმა, თავის დედაქალაქში ძეგლი დაუდგა „დედა-ენას".

გარდაქმნისა და საჯაროობის დღევანდელ ეპოქაში გამოისახა ეროვნული კულტურის შემდგომი განვითარებისა და მისი მემკვიდრეობის უფრო სრულყოფილად წარმოჩინების ახალი პერსპექტივები. ეფიქრობთ, დადგა დრო, რომ შეიქმნას ქართული მწიგნობრობის მუზეუმი. ეს უთუოდ უნდა აისახოს ქართული ენის სახელმწიფო პროგრამაში.

ცნობილია, რომ 1709 წელს თბილისში ვახტანგ VI-მ დაარსა სტამბა, სადაც „ვეფხისტყაოსანი" დაიბეჭდა. წელს ამ სტამბის დაარსებიდან 280 წელი სრულდება და კარგი იქნებოდა, ეს თარიღი მუზეუმით ფუ არა, ქართული ანბანისა და მწიგნობრობის გამოფენით მაინც აღგვენიშნა, რაც მომავალი მუზეუმის შექმნის კარგი საფუძველი გახდებოდა.

ასეთი გამოფენის მოწყობის საქმეს აადვილებს ის გარემოება, რომ 1957 წლის ნოემბერში კულტურის სამინისტრომ ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის შენობაში მოაწყო ქართული წიგნის, გრაფიკისა და პლაკატის გამოფენა. არსებობს ამ გამოფენაზე წარმოდგენილ მასალებზე ვ. გურგენიძის ავტორობით დასტამბული მშვენიერი წიგნი — „ბამაკვლევი. გარდა ამისა, რესპუბლიკის სხვადასხვა სამეცნიერო თუ კულტურულ დაწესებულებებში ზშირად ეწყობა ქართული წიგნის დროებითი გამოფენები. მოკლედ, ჩვენს საზოგადოებრიობას საკმაო გამოცდილება აქვს ასეთი საქმის მოგვარებისა.

დღის წესრიგში დგება თვით საგამოფენო მასალის (ხელნაწერების, სიგელ-გუჯრების, წიგნების) საკითხი, რომლებიც გაფანტულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არხ. ჩიკობავის სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში, ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში და სხვა სამეცნიერო თუ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში. ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ ერთი ხელის მოსმით საუკუნეების მანძილზე შემონახული უნიკალური განძი მთლიანად საგამოფენო დარბაზებში გამოვიტანოთ. უნდა შეიქმნას საგამოფენო მასალის გადამრჩევი კომპეტენტური კომისია.

ჩვენი წინადადების განხორციელების საქმეში ერთ-ერთი რთული საკითხია შენობის გამნახვა. ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის სამეცნიერო საბჭოს წევრებს მიზანშეწონილად მიაჩნიათ „ქარვასლის" შენობაში გამოიყოს საგამოფენო ფართობი და მუზეუმის კოლექციებიც იკისროს აღნიშნული საქმის ორგანიზაცია.

პროექტის IV თავში (ტელევიზია და კინემატოგრაფია) დასმული საკითხები თავისთავად კარგია, მაგრამ ისინი ძირითადად მხოლოდ შტატებისა და მატერიალური ბაზის გაფართოებით იფარგლება. საჭირო კი არის ამ თავში შეეტანოთ ქართული ენის განვითარების, ისტორიის შესახებ კინოფილმების სერიალის შექმნის საკითხი მსოფლიოს სხვადასხვა ენებზე.

ოთარ უეინაშვილი,
ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორი.

უცხოეთი

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა
21 თებერვალი

● **ავღანეთი**

შეიქმნა თავდაცვის უმაღლესი საბჭო

ქაბული. აქ გამოქვეყნდა კანონი სამშობლოს თავდაცვის უმაღლესი საბჭოს შესახებ. საბჭო, ნათქვამია დოკუმენტში, იქმნება როგორც უმაღლესი სამხედრო-პოლიტიკური ორგანო, რომლის მიზანია ცენტრალური ხელმძღვანელობის განხორციელება საგანგებო წესების პირობებში ქვეყნის ეროვნული დამოუკიდებლობის სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად და მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველსაყოფად.

იგი მუშაობს ავღანეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ხელმძღვანელობით. საბჭოს ამოცანებია, კერძოდ, სახელმწიფო ხელისუფლების განმტკიცება, თავდაცვისუნარიანობისა და შეიარაღებული ძალების ბრძოლისუნარიანობის დონის ამაღლება, პოლიტიკური პარტიების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების შეიარაღებული რაზმების მოქმედების კოორდინაციის უზრუნველყოფა, საჭიროების შემთხვევაში ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა, რომლებიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენენ საგანგებო წესების პირობებში. სამშობლოს თავდაცვის უმაღლესი საბჭო მიიღებს აგრეთვე ღონისძიებებს ეროვნული შერიგების პოლიტიკის განსახორციელებლად, ლტოლვილთა დასაბრუნებლად და მათთვის საჭირო დახმარების გასაწევად.

საბჭოს დადგენილებანი სავალდებულოა შესასრულებლად ყველა სახელმწიფო ორგანოს, პოლიტიკური პარტიის, საზოგადოებრივი ორგანიზაციისა და ცალკეული მოქალაქისათვის. საჭიროების შემთხვევაში საბჭო იხილავს ქვეყნის. მოქმედ კანონმდებლობაში შესწორებებისა და დამატებების შეტანის საკითხებს.

გთვალისწინებულია, რომ საგანგებო წესების გაუქმებასთან ერთად დაითხოვენ სამშობლოს თავდაცვის უმაღლეს საბჭოს.

ბაბთარის სააგენტომ გამოაქვეყნა პრეზიდენტ ნაჯიბულას ბრძანებულება საბჭოს შემადგენლობის შესახებ, რომელაც იგი მეთაურობს. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებად დაინიშნენ რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტი ა. რ. ჰაფეფი და ავღანეთის სახალხო დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ს. ა. კეშტმანდი. საბჭოს შემადგენლობაში შევიდნენ ვიცე-პრეზიდენტი მ. რაფი, თავდაცვის, საგარეო საქმეთა, სახელმწიფო უშიშროების, შინაგან საქმეთა მინისტრები, შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, სახალხო დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობის მთელი რიგი წევრები, სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწეები.

● **ბელგია**

საპროტესტო დემარში

ბრიუსელი. ევროპის ეკონომიკური გაერთიანების თორმეტმა ქვეყანამ მიიღო გადაწყვეტილება თეირანდან გაიწვიოს თავისი ელჩები „საკონსულტაციოდ" და გადადოს ყველა დასახული ოფიციალური ვიზიტი ირანში. ეს გამოაცხადეს ბრიუსელში, სადაც დამთავრდა ევროპის ეკონომიკური გაერთიანების მინისტრთა საბჭოს სხდომა საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე.

ამ დუმარშს მიმართეს იმის პროტესტის ნიშნად, რომ ირანის აიათოლა ხომეინიმ ყველა მაჰმადიანს მოუწოდა მოკლან ბრიტანელი მწერალი, რომან „სატანური პოეზიის" ავტორი სალმან რაშდი. „საერთო ბაზრის" ქვეყნების მინისტრებმა ეს მოწოდება შეაფასეს როგორც შეუთავსებელი რელიგიურ შემწყნარებლობასთან და როგორც სარეცხი ფრენას, თავისუფლების საერთაშორისო ნორმებისა და უფლების დარღვევა.

**ლონდონი. ბრიტანეთში ირანის საქმეთა დროებითი რწმუნებული გამოიძახეს ამ ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინ

ხალხური შემოქმედება

არ მოგვეშალოს „ლილეო“!

ქართული ხალხური მუსიკალური კულტურის ფენომენს, სხვა ღირსებებთან ერთად, მუსიკალურ დიალექტთა სიმრავლე და მრავალსახოვნებაც განსაზღვრავს. ადვილი წარმოსადგენია, რამდენი მოაკლდებოდა ჩვენს მუსიკალურ კულტურას, ქართველი კაცის მუსიკალურ გენიას კახეთში „ჩარული“ და გურიაში — „ჰასანბეგური“, სამეგრელოში — „ჩელა“ და ქართლში — „ზამთარი“, ფშაური, რაჭული, თუშური, იმერული, აჭარული თუ კიდევ სხვა მრავალი კუთხის უთვალსაჩინოესი სასიმღერო ნიმუშები რომ არ შეექმნა. თითოეულმა მუსიკალურმა დიალექტმა მრავალი შედევრი შემოგვინახა, რომელთა მოსმენის შემდეგ უცხო მსმენელიც კი აღტაცებას ვერ ფარავს, ხოლო მსოფლიოს მრავალი წამყვანი სპეციალისტი ამ სიმღერების სამშობლოს — საქართველოს „მსოფლიო ფოლკლორული მუსიკის დედაქალაქად მიიჩნევს“.

ქართული ხალხური მუსიკის ამ მრავალფეროვან მდინარეებში ძალუმად ისმის სვანთა ომახიანი და მედიდური სიმღერა— მათი მტკიცე ხასიათისა და სულიერი მისწრაფებების გამომხატველი. არაჩვეულებრივად შეკრული, მონოლითური, ტემბრული ერთსახოვნებით გამორჩეული და ჯერ კიდევ მრავალი საიდუმლოების შემცველი სვანური სიმღერა ზოგადქართული ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი ნიმუშია. სვანეთი ის განძთსაცავია, სადაც არნახული სიწმინდით არის დაცული ჩვენი შორეული წარსულის განუმეორებელი სურათები. ამ განძთსაცავში არსებული სიმღერები თუ საკულტო საგალობლები, რომელთაც ნათლად ატყვია წარმართული მუსიკალური აზროვნების კვალი, სამუზეუმო ექსპონატებს კი არ წარმოადგენენ, არამედ დღესაც ფუნქციონირებენ სვანთა ყოფაში და მათი მრავალსაუკუნოვანი ტრადიციებისა და მრწამსის გამომხატველნი არიან.

ძნელია და ამავე დროს საპატიოც — იყო ამ უძვირფასესი საგანძურის მეჭურჭლეთუხუცესი. ამიტომაც, ქართველი საზოგადოებრიობა განსაკუთრებულ პატივს მიაგებდა სვანური მუსიკალური ფოლკლორის მოჭირნახულე ადამიანებს, რომელთაც შრომა და გარჯა არ დაუშურებიათ და ეს საგანძური თაობიდან თაობაში სასოებით გამოუტარებიათ. მურზაყან დადეშქელიანის, პლატონ დადვანის, იოსებ მუკბანიანის, ილია ფალიანის და კიდევ სხვა მრავალი ცნობილი შემსრულებლისა თუ ლოტბარის წყალობაც არის, რომ სვანური ფოლკლორი, რომელსაც დიდი ესმენა ამიტომაც, ქართველი საზოგადოებრიობა განსაკუთრებულ პატივს მიაგებდა სვანური მუსიკალური ფოლკლორის მოჭირნახულე ადამიანებს, რომელთაც შრომა და გარჯა არ დაუშურებიათ და ეს საგანძური თაობიდან თაობაში სასოებით გამოუტარებიათ. მურზაყან დადეშქელიანის, პლატონ დადვანის, იოსებ მუკბანიანის, ილია ფალიანის და კიდევ სხვა მრავალი ცნობილი შემსრულებლისა თუ ლოტბარის წყალობაც არის, რომ სვანური ფოლკლორი, რომელსაც დიდი ესმენა ამიტომაც, ქართველი საზოგადოებრიობა განსაკუთრებულ პატივს მიაგებდა სვანური სიმღერა— მათი მტკიცე ხასიათისა და სულიერი მისწრაფებების გამომხატველი. არაჩვეულებრივად შეკრული, მონოლითური, ტემბრული ერთსახოვნებით გამორჩეული და ჯერ კიდევ მრავალი საიდუმლოების შემცველი სვანური სიმღერა ზოგადქართული ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი ნიმუშია. სვანეთი ის განძთსაცავია, სადაც არნახული სიწმინდით არის დაცული ჩვენი შორეული წარსულის განუმეორებელი სურათები. ამ განძთსაცავში არსებული სიმღერები თუ საკულტო საგალობლები, რომელთაც ნათლად ატყვია წარმართული მუსიკალური აზროვნების კვალი, სამუზეუმო ექსპონატებს კი არ წარმოადგენენ, არამედ დღესაც ფუნქციონირებენ სვანთა ყოფაში და მათი მრავალსაუკუნოვანი ტრადიციებისა და მრწამსის გამომხატველნი არიან.

ძნელია და ამავე დროს საპატიოც — იყო ამ უძვირფასესი საგანძურის მეჭურჭლეთუხუცესი. ამიტომაც, ქართველი საზოგადოებრიობა განსაკუთრებულ პატივს მიაგებდა სვანური მუსიკალური ფოლკლორის მოჭირნახულე ადამიანებს, რომელთაც შრომა და გარჯა არ დაუშურებიათ და ეს საგანძური თაობიდან თაობაში სასოებით გამოუტარებიათ. მურზაყან დადეშქელიანის, პლატონ დადვანის, იოსებ მუკბანიანის, ილია ფალიანის და კიდევ სხვა მრავალი ცნობილი შემსრულებლისა თუ ლოტბარის წყალობაც არის, რომ სვანური ფოლკლორი, რომელსაც დიდი ესმენა

შნავი მცოდნე, ენთუზიასტი, მკაფიოდ ჩამოყალიბებული შემოქმედებითი პრინციპების მქონე მუსიკოსი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ჯოკია მეშველიანი.

ჯოკია მეშველიანი ახალგაზრდობაშივე ეზიარა უმდიდრეს სვანურ მუსიკალურ ფოლკლორს, რაშიც, მისივე თქმით, დიდი წვლილი მიუძღვის პლატონ დადვანს — სვანური ფოლკლორის ბრწყინვალე მცოდნეს, რამდენიმე ათეული წლის მანძილზე მესტიის სარაიონო კულტურის სახლის ანსამბლის ხელმძღვანელს. ალბათ, ამითაც აა-ბ-ის მონაწილეა, ყველგან და ყოველთვის სასურველი სტუმარია. შემთხვევითი არ არის, რომ ჯოკია მეშველიანის ანსამბლის სახელი გასცდა საქართველოს ფარგლებს და მისი მეოხებით ქართულ ხალხურ მუსიკალურ ხელოვნებას ეზიარა ათასობით მსმენელი საბჭოთა კავშირისა და უცხოეთის ქალაქებში. „ლილე“ საკავშირო თუ რესპუბლიკური ოლიმპიადების მრავალგზის ლაურეატია.

„ლილეს“ რეპერტუარში ეპიკური და ჟანრული მოტივები დომინირებს. მის შესრულებაში ყოველთვის იგრძნობა ზეანუელი ემოციური ტონუსი. ფერხულის რიტმული ნახაზის სირთულის მიუხედავად გამოკვეთილია მოძრაობის ძალდაუტანებლობა და ორიგინალურობა, სიმღერის შინაგანი იმპულსი და სასიცოცხლო ნერვი; ლირიკული სიმღერის ემოციურ სინანდფეს ხშირ შემთხვევაში მამაკაცური საწყისის მქონე პირქუში ტემბრალური ფერი ენაცვლება, რაც მის რეპერტუარს კონტრასტულსა და საინტერესოს ხდის.

ანსამბლის მაღალ საშემსრულებლო დონეზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მის მიერ შესრულებული თითქმის ყველა სვანური სიმღერა თუ საგალობელი საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის ოქროს ფონდშია შესული.

ქართველი საზოგადოებრიობა სიყვარულით აღნიშნავს ამ კოლექტივის დაარსების 55 წლისთავს. ეს უთუოდ დროული და მისასალმებელია, რადგან ეროვნული საქმის კეთება, პატრიოტული სულისკვეთებით გაჟღენთილი თავდადებული და მიზანსწრაფული შრომა ყოველმხრივ პატივისცემასა და დაფასებას იმსახურებს.

ვფიქრობთ, რომ იგი სტიმულის მიმცემი იქნება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოღვაწე ფოლკლორული კოლექტივებისთვისაც.

კუკური ბოხონელიძე,
თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დოცენტი.

„ლილეო“!

სპორტის ამბები

ფეხბურთი

„დინამო“ ემზადება

შავიზღვისპირეთი საფეხბურთო გუნდების ტრადიციული მოსამზადებელი ადგილია. თბილისის დინამოელები, როგორც ცნობილია, თებერვლის დამდეგიდან ლესელიძეში არიან. გუშინ „კომუნისტის“ კორესპონდენტი ტელეფონით დაუკავშირდა პანსიონატ „სპორტს“. უურმილთან მოვიდა დინამოელთა მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი მურთაზ ხუციშვილი.

— წლევანდელი ჭირვეული ზამთრის გამო თუ სხვა მიზეზით, უმაღლესი ლიგის რამდენიმე გუნდმა არ ისურვა ზღვისპირეთში სავარჯიშოდ ჩამოსვლა და ამან გარკვეული კორექტივები შეიტანა ჩვენი მზადების გეგმაში. ძლიერ კოლექტივებთან ნავარაუდევი საკონტროლო მატჩები ძირითადად ჩაგვშალა. მაგალითად, 20 თებერვალს ოდესის „ჩერნომორეცთან“ უნდა გვეთამაშა, მაგრამ ისინი ახლა უცხოეთში არიან. სულ სამი საკონტროლო მატჩი გავმართეთ; პირველ შეხვედრაში, როსტოვის არმიელები დავამარცხეთ — 2:1. შემდეგ ჩვენი თხოვნით ლესელიძეში ჩამოვიდნენ ხარკოვის „მეტალისტის“ ფეხბურთელები. მათთან მატჩი ფრედ (0:0) დამთავრდა. ბოლოს ანგარიშით 1:0 მოვუგეთ როსტოვის „როსტსელმაშს“. ამ შეხვედრაში, ცხადია, „დინამოს“ ძველმა ბინადრებმაც ითამაშეს და ახალწვეულებმაც... ალბათ ნაადრევია გუნდის მზადყოფნაზე საუბარი. ჩემპიონატის ოფიციალური მატჩები გვიჩვენებს, ვინ როგორ მოემზადა სეზონისთვის. ერთი რამ შემიძლია ვთქვა: გუნდის თითოეული წევრი მთელი პასუხისმგებლობით, გულმოდგინედ ვარჯიშობს, ყველანი ჯანმთელად არიან, სერიოზული ტრავმა ანგარიშს მიუღია.

ფეხბურთის გულშემატკივრებს ეხსომებათ, რომ, საკავშირო კალენდრის თანახმად, 26 თებერვალს ლესელიძეში ან ზღვისპირეთის რომელიმე სხვა სტადიონზე უნდა გვეთამაშა ფეხბურთის ფედერაციის თასის პირველი მატჩი კაუნასის „ჟალგირისთან“. კაუნასელთა ძირითადი შემადგენლობა ამ დღეებში მარიკოშია, ასე რომ, ამ შეხვედრის დრო და ადგილი მოგვიანებით დაზუსტდება, მანამდე — 23 თებერვალს დაგეგმილი გვაქვს საკონტროლო მატჩი დონეცკის „შახტიორთან“. მეორე დღეს, ალბათ, თბილისში ჩამოვალთ და დიღომში, ჩვენს ბაზაზე განვაგრძობთ ვარჯიშს.

ლინარესსა და პარიზში

ლინარესის (ესპანეთი) დიდი საერთაშორისო ტურნირის მონაწილეებმა ორ-ორი პარტია ითამაშეს. 1,5 ქულით დაწინაურდა საბჭოთა დიდოსტატი არტურ იუსუპოვი. თითო ქულა და თითო გადადებული პარტია აქვთ ნაიჯელ შორტსა (დიდი ბრიტანეთი) და იოჰან ჰიარტარსონს (ისლანდია), 0,5 ქულა — ანატოლი კარპოვს. მეორე ტურში იუსუპოვი ყაიმზე შეუთანხმდა ლიუბომირ ლიუბოევიჩს (იუგოსლავია), ანატოლი კარპოვი — ბორის გულკოს (აშშ). ალექსანდრე ბელიავსკი დამარცხდა ჰიარტარსონთან, ვასილ ივანჩუკისა და იან ტიმანის (ჰოლანდია) პარტია კი

სატურნირო ორბიტა

ფეხბურთი. საუდის არაბეთში გრძელდება იუნიორ ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატი. მორიგი მატჩები ასე დამთავრდა: ერაყ-ესპანეთი — 2:0, აშშ-გდრ — 2:0, პორტუგალია-ნიგერია — 1:0, კოლუმბია-სირია — 2:0. წინასწარ ტურნირში მეტოქეებს თითო მატჩი დარჩათ გასამართავი, საბჭოთა ფეხბურთელები დღეს კოლუმბიელებს ეთამაშებიან. თავიანთ ქვეჯგუფებში 4-4 ქულით ლიდერობენ პორტუგალიის, სსრ

გადაიდგა ივანჩუკისთვის უკეთეს პოზიციაში. შეჯიბრებაში 11 დიდოსტატი მონაწილეობს (ლინარესში არ ჩამოვიდა შეიეცარიელი ვიქტორ კორჩნოი).

„ხელოვნების ფესტივალის“ პროგრამით პარიზში გრძელდება ეგრეთწოდებული თაობათა ტურნირი. 5 ტურის შემდეგ ანგარიშია 13,5:11,5 დიდოსტატთა სასარგებლოდ. შეჯიბრებაში გამოდიან მიხეილ ტალი, ბორის სპასკი, ბენტ ლარსენი, ულფ ანდერსონი და სხვა ცნობილი მოჭადრაკეები.

ვლადიმერ დოლიძე

ადამიანი

გარდაიცვალა ქართული კინოს ამაგდარი მეშაო, საქართველოს სახელოვნების დამსახურებული მოღვაწე, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, 1946 წლიდან პარტიის წევრი, სსრ კავშირის კინემატოგრაფიის წარჩინებული მუშაკი, შრომის ვეტერანი ვლადიმერ ბესარიონის ძე **დოლიძე.**

ვ. დოლიძე დაიბადა 1908 წელს ჩოხატაურის რაიონში. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1932 წელს, მუშაობა დაიწყო კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ ჯერ ხმის საამქროს უფროსად, შემდეგ ხმის ოპერატორად. მას უმუშავნია ისეთ საუკეთესო ფილმებზე, როგორებიცაა „გორგი საკაძე“, „აკაკის აკვანი“, „ჭრიჭინა“, „ბაში-აჩუკი“, „ოთარაანთ ქვრივი“, „ფატიმა“, „კეთილი ადამიანები“, „შეხვედრა წარსულთან“, „ნერგები“, „ვერის უბნის მელოდიები“, „სამანიშვილის დედინაცვალი“ და მრავალი სხვა.

ვლადიმერ დოლიძეს დიდი ამაგი დასდო საქართველოში ხმოვანი ფილმების წარმოების ბაზის შექმნას. იგი ჭეშმარიტად ითვლება ქართული ხმოვანი კინოს პიონერად. 1950 წელს ფილმის „ჯურღის ფარის“ ჩინებული გახმოვანებისათვის მას სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის ვ. დოლიძე დაჯილდოებული იყო მრავალი მედლითა და საპატიო სიგელით.

ვლადიმერ დოლიძის, მუდამ საქმიანი და კეთილი ადამიანის, ქართულ კინოხელოვნებაზე გულმხურვალედ შეყვარებული შემოქმედის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი თანამშრომლებისა და მეგობრების გულში.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო; საქართველოს სსრ კინემატოგრაფისტთა კავშირი; კინოსტუდია „ქართული ფილმი“.

ბორბლები მაინც ჩამოეშვა

ვიდნიანარე წლის 11 თებერვალს ჩვეულებრივად დაიწყო იაკ-40 თვითმფრინავის ეკიპაჟი (მეთაური — ბ. გვარლიანი, მეორე მფრინავი — ა. შიბიცინი, ბორტინჟინერი — ი. სლიგკო, გამცილებელი — ნ. აკოფამეული) სამუშაო დღე. ფილის ექვს საათზე აეროპორტში გამოცხადდა დღის პროგრამა, დაზუსტდა ამინდის მდგომარეობა ფრენის ყველა მიმართულებით, შემოწმდა თვითმფრინავის ტექნიკური მზადყოფნა.

თვითმფრინავმა — თბილისი — სოხუმი — თბილისი, გეზი აიღო დასავლეთისაკენ და აფხაზეთის დედაქალაქში შვიდობიანად დაჯდა. იქიდან თბილისში წამოსაყვანად კი ეკიპაჟმა 25 მგზავრი, მათ შორის 2 ბავშვი ჩაიბარა.

ჩვეულებრივი სქემით შემოწმდა თვითმფრინავის ყველა სისტემა და იგი თბილისისაკენ გამოემართა. 30 წუთის ფრენის შემდეგ ეკიპაჟმა თბილისის აეროპორტში დაჯდომისთვის დაიწყო მზადება. მეთაურმა ბორის გვარლიანმა მორიგი განკარგულება გასცა დასაჯდომად ბორბლების ჩამოშვების შესახებ. ბორტინჟინერმა ოპერაცია შეასრულა, მაგრამ სასიგნალო მოწყობილობა არ აინთო, რაც ნიშნავდა, რომ ბორბლები არ ჩამოეშვა.

მოგვიწევს „მუცელზე“ დაჯდომა, გადულვა აზრმა ეკიპაჟის წევრებს.

საშიშია? რა თქმა უნდა.

არის გადარჩენის შანსი? არის, მაგრამ ეს მოითხოვს ეკიპაჟის თითოეული წევრის ძალების მობილიზებას, უმაღლეს პროფესიონალიზმს და, რაც მთავარია, შშვიდ, თანაც აუცილებლად სინქრონულ მოქმედებას.

ეს ეკიპაჟისთვის მაქსიმალური დაძაბულობის წამებია. ასეთ შემთხვევაში ხშირად უთეთრდებად ხოლმე თმები მფრინავებს, დიდია პასუხიმგებლობის შეგრძნება.

საჭირო „მიწის“ დახმარებაც, დასაჯდომ ბილიკზე სპეციალური ქაფის მოსხმა (ხახუნის შესაძცირებლად), სახანძრო, სამედიცინო და საევაკუაციო სამუშაოების უზრუნველყოფა. ყველაფერი ეს წამებში უნდა მოხდეს.

იაკ-40-ს ბორბლების ჩამოშვების მექანიკური სიგნალიზაციაც აქვს. ბორტინჟინერი სწრაფად გადის მგზავრთა სალონში და რწმუნდება, რომ მექანიკური მაჩვენებელი მუშაობს.

რომელია სწორი, რომელს დაუჯეროს ეკიპაჟმა — ელექტროსიგნალიზაციას, თუ მექანიკურ მაჩვენებელს?

სწორედ ამას აცნობებს „მიწას“ ხომალდის მეთაური.

ფრენის ხელმძღვანელი ნიკოლოზ სტოლბოვი ღებულობს გადაწყვეტილებას — გაატაროს თვითმფრინავი დაბალ სიმაღლეზე, დაადგინოს ბორბლების ფაქტობრივი მდგომარეობა და შემდეგ იზრუნოს ეკიპაჟთან ერთად უსაფრთხო დაჯდომაზე.

„მიწაზე“ უკვე გაიცა განკარგულებები მთლიანი მზადყოფნის შესახებ, შეწყდა ყველა სამუშაო და ფრენა.

და აი, თვითმფრინავი 30-40 მეტრის სიმაღლეზეა. „მიწა“ ადგენს, რომ ბორბლები ჩამოშვებულია.

ეს იყო პირველი შება ყველასათვის.

მაგრამ, არც ამით მთავრდება ბორბლები არ არის ჩამოშვებული.

— ბორბლები ჩამოშვებულია, მაგრამ მაინც ფრთხილად, რბილად დასვი თვითმფრინავი, შეიძლება ისინი არ იყოს ჩაკეტილი.

— გასაგებია, შეეეცდები ყველაფერი ნორმალურად გავაკეთო.

— მგზავრებს რა უთხრათ?

— ვამშვიდებთ.

საკვირველად მშვიდი იყო საუბრის ტონი. ალბათ, ესეც არის ხასიათის ის სიმტკიცე, რომელიც მფრინავებს განასხვავებს სხვებისაგან.

ამ დროს გამცილებელი ნათელა აკოფამეული მგზავრებს აფრთხილებს, რომ დაჯდომა შეიძლება საკმაოდ რთული იყოს და კიდევ ერთხელ თხოვს შეკრან თასმები, ჯიბიდან ამოიღონ მექანიკური და წვეტიანი საგნები. თვითონ ცდილობს არაფერი შეიმჩნიოს, საკვირველია, ბორბლები ჩამოშვებულია, ალბათ, ამიტომაც არ ინთება ნათურა. თანაც დაჯდომისას ბორბლები შესაძლოა შეიეკეცოს, რასაც გამოუსწორებელი შედეგიც შეიძლება მოჰყვეს.

აი, ავიაარზმის უფროსის ხელრაბ ჭანკოტაძისა და ეკიპაჟის მეთაურის ბორის გვარლიანის საუბრის ჩანაწერი.

— სამივე სისტემა გამოსცადეთ?

— დიახ, წნევა ნორმალურია, მოწყობილობა არ ინთება, ხმის სიგნალიზაცია მაუწყებს, რომ ბორბლები ჩამოშვებულია, მაგრამ არ არის ჩაკეტილი და, ალბათ, ამიტომაც არ ინთება ნათურა. ალბათ, ამიტომაც ეს ბორბლები შესაძლოა შეიეკეცოს, რასაც გამოუსწორებელი შედეგიც შეიძლება მოჰყვეს.

აი, ავიაარზმის უფროსის ხელრაბ ჭანკოტაძისა და ეკიპაჟის მეთაურის ბორის გვარლიანის საუბრის ჩანაწერი.

— სამივე სისტემა გამოსცადეთ?

— დიახ, წნევა ნორმალურია, მოწყობილობა არ ინთება, ხმის სიგნალიზაცია მაუწყებს, რომ

ბორბლები მაინც ჩამოეშვა

ბოლოდროინდელი ამბავი

ბოგვეხიზლა სომეხ მსახიობთა ოსტატობამ

თბილისში გრძელდება ქალაქ ლენინაკანის ა. მრავიანის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო დრამატული თეატრის გასტროლები. მის მიერ ჩამოტანილი პ. ჯეკომეტის „ბოროტმოქმედის ოჯახი (კორადო)“ რეპერტუარის მშვენებაა.

სომეხი მსახიობების ოსტატობამ მოხიბლა გემოვნებიანი თბილისელი თეატრის მოყვარულნი.

სურათებზე: სცენები სპექტაკლიდან. კორადო — სსრ კავშირის სახალხო არტისტი ხ. აბრამიანი; როზალინი — გ. აბრამიანი, კორადო — ხ. აბრამიანი.

ვარლამ ბენგზიურის („კომუნისტი“) ფოტო.



თეატრი სახელმწიფო საზრუნავია

საქართველოს კულტურის სამინისტრომ და რესპუბლიკის თეატრის მოღვაწეთა კავშირმა შეიმუშავეს ქართული თეატრის განვითარების სახელმწიფო პროგრამის პროექტი. იგი შეიცავს ეროვნული სასცენო ხელოვნების შემოქმედებითი და ორგანიზაციული პრობლემების მთელ კომპლექსს: სარეპერტუარო პოლიტიკის, დრამატურგიის, კადრების აღზრდის, საქართველოს თეატრალურ ინსტიტუტში სასწავლო პროცესის სრულყოფის, საქალაქო და რაიონული თეატრების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების, მოძმე რესპუბლიკების, საზღვარგარეთის ქვეყნების კოლეგებთან შემოქმედებითი კონტაქტების, მეურნეობრიობის სისტემის სრულყოფის პრობლემებს.

გაიმართა საქართველოს კულტურის სამინისტროს კოლეგიისა და თეატრის მოღვაწეთა კავშირის სამდივნოს გაერთიანებული სხდომა, რომელზეც განიხილეს პროგრამის პროექტი. გამოითქვა მთელი რიგი პრინციპული მოსაზრებანი, წინადადებანი. ისინი მიიღო შემქმნელმა სამუშაო ჯგუფმაც. პროექტის პირველი ვარიანტი ამ წინადადებათა და გამოხმაურებათა საფუძველზე უკვე გადამუშავებულია. ამ სახით მას ამ დღეებში ერთხელ კიდევ განიხილავენ სპეციალისტები. შემდეგ სამუშაო ჯგუფი ახალი კონკრეტული წინადადებების გათვალისწინებით პროგრამას საბოლოო სახეს მიანიჭებს და ქართული თეატრის განვითარების სახელმწიფო პროგრამის პროექტი განსახილველად გამოქვეყნდება პრესაში.

(საქინფორმი).

შემთხვევა

ვიდნიანარე წლის 11 თებერვალს ჩვეულებრივად დაიწყო იაკ-40 თვითმფრინავის ეკიპაჟის (მეთაური — ბ. გვარლიანი, მეორე მფრინავი — ა. შიბიცინი, ბორტინჟინერი — ი. სლიგკო, გამცილებელი — ნ. აკოფამეული) სამუშაო დღე. ფილის ექვს საათზე აეროპორტში გამოცხადდა დღის პროგრამა, დაზუსტდა ამინდის მდგომარეობა ფრენის ყველა მიმართულებით, შემოწმდა თვითმფრინავის ტექნიკური მზადყოფნა.

თვითმფრინავმა — თბილისი — სოხუმი — თბილისი, გეზი აიღო დასავლეთისაკენ და აფხაზეთის დედაქალაქში შვიდობიანად დაჯდა. იქიდან თბილისში წამოსაყვანად კი ეკიპაჟმა 25 მგზავრი, მათ შორის 2 ბავშვი ჩაიბარა.

ჩვეულებრივი სქემით შემოწმდა თვითმფრინავის ყველა სისტემა და იგი თბილისისაკენ გამოემართა. 30 წუთის ფრენის შემდეგ ეკიპაჟმა თბილისის აეროპორტში დაჯდომისთვის დაიწყო მზადება. მეთაურმა ბორის გვარლიანმა მორიგი განკარგულება გასცა დასაჯდომად ბორბლების ჩამოშვების შესახებ. ბორტინჟინერმა ოპერაცია შეასრულა, მაგრამ სასიგნალო მოწყობილობა არ აინთო, რაც ნიშნავდა, რომ ბორბლები არ ჩამოეშვა.

მოგვიწევს „მუცელზე“ დაჯდომა, გადულვა აზრმა ეკიპაჟის წევრებს.

საშიშია? რა თქმა უნდა.

არის გადარჩენის შანსი? არის, მაგრამ ეს მოითხოვს ეკიპაჟის თითოეული წევრის ძალების მობილიზებას, უმაღლეს პროფესიონალიზმს და, რაც მთავარია, შშვიდ, თანაც აუცილებლად სინქრონულ მოქმედებას.

ეს ეკიპაჟისთვის მაქსიმალური დაძაბულობის წამებია. ასეთ შემთხვევაში ხშირად უთეთრდებად ხოლმე თმები მფრინავებს, დიდია პასუხიმგებლობის შეგრძნება.

„ბოგვეხიზლა“

ოსტატობა

ეროვნული

ეროვნული

ეროვნული